კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ავთანდილ წოწკოლაური

სამაგისტრო ნაშრომი

დანაშაულის მცდელობის სახეები და მათი მნიშვნელობა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის დროს

სამართალმცოდნეობა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:ალექსანდრე გიორგიძე

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

თბილისი 2019

გამოყენებული აბრევიატურები

ა.შ. - ასე შემდეგ

ე.ი. - ესე იგი

სხვ. - სხვა

მაგ. - მაგალითად

სსკ. - სისხლის სამართლის კოდექსი

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

სსრკ. - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი

აშშ. - ამერიკის შეერთებული შტატები

იხ. - იხილეთ

მისთ. - მისთანები

საქ-ო. - საქართველო

სახ-ო. - სახელმწიფო

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვადასტურებ, რომ წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ინტელექტულურ საკუთრებას, არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად შემუშავებულ ან ხარისხის დასაცავად წარდგენილ ნაშრომებს, იმგვარად რომ არ იყოს მითითებული ანდა ციტირებული, სათანადო წესების დაცვით.

ანოტაცია

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის მიხედვით, დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. ვინაიდან, დანაშაული არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, დანაშაულის მცდელობის დროს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი განისაზღვრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისთვის, მე-19 მუხლზე მითითებით. დანაშაულის მცდელობა დაუმთავრებელი დანაშაულის სახეს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას რომ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩამდენი პირი, მოქმედებით თუ უმოქმედებით ჩადენილი დანაშაულის მცდელობის დროს, არ გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. ასეთ შემთხვევაში, მას შეუმსუბუქდება პასუხისმგებლობა და შეიძლება გათავისუფლდეს კიდეც ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთის უმნიშვნელო დაზიანების გამო.

დანაშაულის მცდელობას აქვს სახეები, რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს ჩადენილი ქმედების სწორი და ზუსტი წინასწარი კვალიფიკაცია. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მეცნიერების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, თეორიები და შეხედულებები. მცდელობა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფაქტობრივ თუ სამართლებრივ მდგომარეობაში მყოფი სუბიექტის მიერ, ობიექტის მიმართ და გარკვეული საშუალებით. ვინაიდან, არსებობს დამთავრებული და

დაუმთავრებელი მცდელობა, მნიშვნელოვანია მათი ურთიერთგაიჯვნა, როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობების მიხედვით.

Avtandil Tsotskolauri

Types of attempted crime and their importance on the classification of an act as a crime

Annotation

According to the Criminal Code of Georgia, Article 19, an attempt shall be an intentional act that was aimed at committing a crime, but the crime was inchoate. Since the crime is the basis of criminal responsibility, an attempted crime shall be determined under the relevant article of the Criminal Code of Georgia which prescribes liability for a completed crime, by making reference to the Article 19. Attempted crime is a type of an inchoate crime. Hence, it might be said that a person who committed an unlawful and guilty act, meaning attempted offense by either taking or not taking action ,will not be released from criminal liability. In such case, liability may be mitigated and he or she may even be released due to the negligible damage.

There are types of an attempted crime based on which the right and exact classification of a criminal act shall be conducted. Different opinions, theories and views have been presented by various scientists with regard to the above mentioned subject. An attempt may be made towards the subject in a variety of factual or legal positions, towards the object and

through certain means. Since there are accomplished and inchoate attempts, it is crucial to distinguish them from each other based on the Georgian law and the legislations of the countries from overseas.

სარჩევი

შესავალი.....8

თავი I. დანაშაულის მცდელობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა.....10

თავი II. დანაშაულის მცდელობის ცნება და ნიშნები.....16

2.1 დანაშაულის მცდელობის ცნება 16

2.2 დანაშაულის მცდელობის ნიშნები ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით.....20

თავი III. თეორიები დანაშაულის მცდელობის შესახებ.....28

3.1 მცდელობის ფორმალურ-ობიექტური თეორია.....28

3.2 მცდელობის პირობათა თეორია.....30

3.3 მცდელობის სუბიექტური თეორია.....31

3.3.1 ბურის თეორია 35

3.3.2 მოწონების თეორია 36

თავი IV. დანაშაულის მცდელობის სახეები.....38

4.1 დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის ურთიერთგამიჯვნა.....38

4.2 დანაშაული მცდელობის კლასიფიკაცია ქართული და უცხოური სისხლის სამართლის მიხედვთ.....42

4.3 უვარგისი მცდელობის ცნება, სახეები და უვარგისი მცდელობის გამიჯვნა მოჩვენებითი დელიქტისგან გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით.....45

4.3.1 მცდელობა უვარგის ობიექტზე 52

4.3.2 მცდელობა უვარგისი საშუალებით 54

4.3.3 მცდელობა უვარგისი სუბიექტის მიერ 55

4.3.4 აბსოლუტურად უვარგისი მცდელობა 58

4.3.5 ირეალური მცდელობა 59

4.3.6 არშემდგარი მცდელობა 60

თავი V. დანაშაულში თანამონაწილეთა მცდელობის პრობლემატიკა.....63

დასკვნა.....66

გამოყენებული ლიტერატურა.....68

შესავალი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დაუმთავრებელი დანაშაულის ჩადენის სტადიებია: დანაშაულის მომზადება და მცდელობა. მოცემული სახეებიდან ჩვენ შევეხებით მხოლოდ დანაშაულის მცდელობას, სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებულ სტადიას.

დანაშაულის მცდელობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი განისაზღვრება ჩადენილი ქმედების სწორი კვალიფიკაციის გზით. ვინაიდან, სისხლის სამართლის მიზნებისთვის, აუცილებელია ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების შეფასება მისი ხასიათიდან გამომდინარე, პრაქტიკაში ხდება განხორციელებული ქმედების წინასწარი კვალიფიკაცია. ეს გულისხმობს იმას, რომ კარგად უნდა შეფასდეს ქმედების ჩამდენი პირის თითოეული სუბიექტური და ობიექტური მდგომარეობა, მისი ჩადენის იარაღი, განხორციელების ხერხები და საშუალებები, მოტივი და რაც ყველაზე მთავარია, მისი მიზანი.

კვლევის მიზანი: სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს დანაშაულის მცდელობის სახეების განსაზღვრა, მათი სამართლებრივი მდგომარეობის განხილვა და ურთიერთმიმართების დადგენა. გარდა ამისა, ნაშრომის ფარგლებში განხილულია დანაშაულის მცდელობის არსი და ნიშნები, როგორც ქართული, ისე უცხოური კანონმდებლობების მიხედვით. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, ნაშრომში განხილულია სხვადასხვა მეცნიერების მიერ გამოთქმული თეორიები, რომელთა საფუძველზეც ჩამოყალიბებული იქნება სხვადასხვა სახის რეკომენდაციები.

კვლევის საგანი: ნაშრომის კვლევის საგანია დანაშაულის მცდელობის ნიშნებისა და სახეების ურთიერთგამიჯვნა, მათი ურთიერთმიმართების დადგენა და ქმედების დანაშაულის მცდელობად დაკვალიფიცირების პრაქტიკული პრობლემების თვალსაჩინეობა.

კვლევის ადეკვატური მეთოდები: ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია შემდეგი სახის კვლევის მეთოდები: ისტორიული კვლევის მეთოდი, შედარებითი კვლევითი მეთოდი, ლოგიკური კვლევის მეთოდი, ინდუქციური და დედუქციური კვლევის მეთოდი. აღნიშნული სამეცნიერო კვლევის მეთოდების მეშვეობით, წარმოდგენილი იქნება თემის აქტუალურობა.

ნაშრომის სტრუქტურა: სამაგისტრო ნაშრომი შედგება ანოტაციისგან, შესავლისგან, ხუთი თავისა და დასკვნისგან.

თავი I

დანაშაულის მცდელობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

„დასავლეთ ევროპაში ზოგადი დებულებანი დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის შესახებ შემუშავებულ იქნა პირველად იტალიის საშუალო საუკუნეების იურისტების გლოსატორების მიერ XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის განმავლობაში. გლოსატორები არა მარტო ხმარობენ ტერმინს ,,მცდელობა'', არამედ აგრეთვე იძლევიან მის განმარტებასაც. მცდელობის ცნება გლოსატორებს მეტად ფართოდ ესმოდათ. იგი მოიცავდა არა მარტო იმ მოქმედებებს, რომლებიც შემდგომ ბურჟუაზიულმა სისხლის სამართალმა ამ ცნებას მიაკუთვნა დანაშაულებრივი შემადგენლობის განხორციელების დასაწყისი. არამედ ყოველ მოქმედებას, რომელიც ჩადენილი იყო დანაშაულის განხორციელების მიზნით მაშასადამე

მოსამზადებელ მოქმედებასაც. თადვდაპირველად მცდელობა მხოლოდ მძიმე დანაშაულის დროს ისჯებოდა, შემდგომ კი, ჯერ ერთი, გაფართოვდა თვით მძიმე დანაშაულის ცნება და , მეორე, გამოცხადებულ იქნა მცდელობის დასჯადობა ყველა დანაშაულის დროს. გლოსატორების მოძღვრება იცნობდა ნებაყოფლობით დავდანებებული მცდელობის დაუსჯელობას, მაგრამ ეს წესი XVI საუკუნის ბოლოს შეიცვალა და ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობაც დასჯადად გამოცხადდა."[1]

„დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ერთმანეთისაგან გამიჯვნას პირველად საფრანგეთის სისხლის სამართალში ვხვდებით.[2] საფრანგეთის 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა მოსამზადებელი ქმედება დაუსჯელად გამოაცხადა."

„გლოსატორების აზრებს, რომელნიც რომის სამართლის ავტორიტეტით იყვნენ განმტკიცებულნი, როგორც ცნობილია, ნორმატიული ძალა ჰქონდათ. ამიტომ, გასაგებია, რომ მათი დებულებანი დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის შესახებ საშუალო საუკუნეების იტალიური სამართლის მოქმედ ნორმად გადაიქცნენ."[3]

მოსამზადებელი მოქმედების და მცდელობის გამიჯვნა ერთმანეთისაგან უფრო გვიანდელი სამართლის პროდუქტია.

„ზოგადი ხასიათის დადგენილებანი მცდელობის შესახებ მოცემული იყო პირველად 1813 წლის სისხლის სამართლის დებულების პროდუქტში, თუმცა ეს დადგენილებანი ჯერ კიდევ მეტად ბუნდოვან ხასიათს ატარებდნენ. აღნიშნული პროექტი იძლეოდა მცდელობის ცნების თავისებურ განსაზღვრას და მისი სახეების დაყოფას დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობად. პროექტი ითვალისწინებდა მცდელობის ნაკლებ დასჯადობას დამთავრებულ დანაშაულთან შედარებით. ეს ნორმა პროექტის ზოგად ნაწილში არ იყო მოცემული, მაგრამ შეიძლებოდა

[1]იხ. წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბილისი 1961 გვ. 10-11

[2]იხ. მჭედლიშვილი ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011 გვ.3

[3] წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბილისი 1961 გვ. 11

გამოტანილი ყოფილიყო განსაკუთრებული ნაწილის დადგენილებებიდან.[4] პროექტი იცნობდა ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობის ცნებას, მაგრამ ასეთი მცდელობა არ ათავისუფლებდა მის ჩამდენს პასუხისმგებლობისგან, თუმცა იწვევდა სასჯელის ერთგვარ შემსუბუქებას.“

„დანაშაულის მცდელობის ზოგად ცნებას ძველი ბერძნული სამართალი არ იცნობდა მაგრამ აზრი რომელშიც დანაშაულის მცდელობა იგულისხმებოდა, ბერძნული სისხლის სამართლისთვის არ იყო უცხო. ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, რომლებიც თანამედროვე გაგებით დანაშაულის მცდელობად უნდა შეფასდეს.[5] მაგალითად ქურდობის მიზნით სხვისი სახლის კედლის დანგრევა, სხვა არაფერია, თუ არა ქურდობის მცდელობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მკვლელობის მცდელობის დასჯადობას. დანაშაულის მცდელობა ასეთი დელიქტების დროს განიხილებოდა, როგორც ,,delictum sui generis''. მოკვლის განზრახვით მსხვერპლის დაჭრა ან მოწამვლა დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობად კვალიფიცირდებოდა. განსხვავება, დანაშაულის მცდელობასა და დანაშაულის დამთავრებას შორის, შედეგში იყო. თუკი დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობისათვის სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული, ასეთი დანაშაულის მცდელობის შემთხვევაში დამნაშავეს სამუდამო გადასახლებას უსჯიდნენ, მთელი თავისი ქონების ჩამორთმევით.“[6]

„ბერძნული სამართალი განვითარების ბოლო ეტაპზე კიდევ ერთი მნიშვნელოვან ნაბიჯს დგავს. იმ დროს, როდესაც ადრეულ პერიოდში როგორც მცდელობის, ასევე დამთავრებული დელიქტების დასჯადობა შედეგის დადგომაზე იყო დამოკიდებული,

---

[4]იხ. წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბილისი 1961 გვ. 14-15

[5]იხ. ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ. 26

[6] ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.26

ნებელობითმა ელემენტმა იონიური ფილოსოფიის დახმარებით და, შესაბამისად, სოფისტური სწავლებისა და რიტორიკის გავლენით დიდი მნიშვნელობა შეიძინა.“[7]

„საინტერესოა, თუ როგორ იყო გადაწყვეტილი დანაშაულის მცდელობის საკითხი ძველ გერმანულ სისხლის სამართალში. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ძველი გერმანული სამართალი ჩვეულებითი სამართლის ხასიათს ატარებდა.[8] წერილობითი სამართლის წყაროები მხოლოდ ფრანკების მმართველობის დროს გამოჩნდა, ამიტომ ასეთი წყაროების არარსებობა მიუთითებს იმაზე, რომ ძველ გერმანულ სისხლის სამართალში მცდელობის ინსტიტუტი არ იყო განვითარებული. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ პირი, რომელიც შეეცდებოდა მეორე პირის მოკვლას, მაგრამ ამ უკანასკნელს მხოლოდ დააზიანებდა, მკვლელობის მცდელობისთვის კი არ დაისჯებოდა. არამედ მხოლოდ სხეულის დაზიანებისთვის აგებდა პასუხს.“

„გერმანული სისხლის სამართლის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი იტალიის სახელმწიფოს კანონმდებლობამ და სასამართლო პრაქტიკამ ითამაშა. ასევე, მეთორმეტე და მეთხუთმეთე საუკუნეებში დიდი სამუშაო გაწიეს იტალიელმა მეცნიერებმა. დანაშაულის შესახებ მოძღვრების განვითარებაში გლოსატორების და პოსტგლოსატორების წვლილი ძალზედ დიდია. შეიძლება ითქვას, რომ პირველად სწორედ იტალიელებმა მიაქციეს ყურადღება დანაშაულის მცდელობის საკითხს. რამაც, თავის მხრივ, გარკვეული გავლენა იქონია გერმანულ სისხლის სამართალში აღნიშნული ინსტიტუტის განვითარებაზე.“[9]

---

[7] ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.26

[8] იხ. ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ. 27

[9] ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.27

„პირველი გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი იყო კაროლინა. ბამბერგის მოსამართლის, ჰანს შეარცენბერგის მიერ შემუშავებული ეს აქტი, რომელიც რაიხსტაგმა 1532 წელს მიიღო, 1870 წლამდე მოქმედებდა როგორც პირველი და ერთადერთი გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი. დასახელებული კოდექსის 178-ე პარაგრაფი დამაშაულის მცდელობის საკითხს ეხებოდა, რომლის მიხედვით, მხოლოდ მძიმე კატეგორიის დანაშაულების მცდელობა ისჯებოდა. კანონმდებელი მცდელობისთვის სასჯელის განსაზღვრისას რაიმე კონკრეტულ კრიტერიუმს არ ასახელებდა, თუმცა, სასამართლო პრაქტიკა მცდელობას უფრო მსუბუქად სჯდიდა, ვიდრე დამთავრებულ დანაშაულს. დასახელებული კოდექსის 178-ე პარაგრაფის ძირითადი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ იგი ობიექტურ თეორიას ემყარებოდა, მაგრამ, რაც უდავოდ უნდა დაფასდეს, არის ის, რომ ეს პარაგრაფი არის თანამედროვე მცდელობის ინსტიტუტის წინამორბედი.“[10]

იტალიელ იურისტებს - გლოსატორებს ფართოდ ესმოდათ როგორც დანაშაულის განხორციელებისაკენ მიმართული ნებისმიერი ქმედება ესეიგი ისინი დანაშაულის მომზადებასც მცდელობად თვლიდნენ.[11]

„გერმანულ სისხლის სამართალში დაუმთავრებელი დანაშაულის ისტორიულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ძველი გერმანული სამართალი, ისევე როგორც ძველი ქართული სამართალი, დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ცნებას არ იცნობდა.[12] თუმცა, ქართული სამართლისაგან განსხვავებით, გერმანულმა სისხლის სამართალმა ბევრად ადრე დაიწყო დაუმთავრებელ დანაშაულის დასჯადობის შესახებ ფიქრი და უკვე XVI საუკუნის ოცდაათიან წლებში დანაშაულის მცდელობა, როგორც დანაშაულის დამოუკიდებელი სტადია, დასჯადად გამოაცხადა. ამასთან,

[10] იხ: იქვე გვ.27-28

[11]იხ. მჭედლიშვილი ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011 გვ.2

[12]იხ. ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ. 33

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გერმანულ სისხლის სამართალში დანაშაულის მომზადების დასჯადობის საკითხი არასოდეს არ დასმულა დღის წესრიგში.გარკვეული დროის განმავლობაში დანაშაულის მცდელობის ცნება ეტაპობრივად იხვეწებოდა, თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ 1871 წელს მიღებულ გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში ჩამოყალიბებული დანაშაულის მცდელობის ცნება გერმანიის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული დანაშაულის მცდელობის ცნების სახელმძღვანელო ბაზისს წარმოადგენს.“

„დანაშაულის მცდელობის დასჯადობას, თავდაპირველად, საფუძვლად დაედო ობიექტური თეორია, რაც ამ პერიოდში აღიარებული უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური მიმდინარეობის, ლიბერალიზმის დამსახურება იყო. თუმცა მოგვიანებით, ფილოსოფიური მიმდინარეობის, იდეალიზმის განვითარების შედეგად, სადავეები ხელთ სუბიექტურმა თეორიებმა იგდეს.“[13]

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას რომ დანაშაულის მცდელობას, როგორც დაუმთავრებელი დანაშაულის სახეს, საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს და განვითარების დიდი გზა გააჩნია, მაშასადამე სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებული თეორიებიდან მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს სუბიექტური თეორიის არსი, რომელიც ჩემი აზრით, ამ თეორიას უფრო მეტი სამართლებრივი ღირებულება აქვს ქმედების სწორად დაკვალიფიცირებისთვის.

[13] იხ: იქვე გვ. 33

თავი II

დანაშაულის მცდელობის ცნება და ნიშნები

2.1 დანაშაულის მცდელობის ცნება

„ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში დანაშაულის მცდელობა გაიგება, როგორც დამნაშავის განზრახი საქმიანობა, რომელიც უშუალო საფრთხეს უქმნის

დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებულ სიკეთეს, მაგრამ იგი არ იწვევს მის დაზიანებას, ზოგჯერ დამნაშავის და ზოგჯერ სხვა მიზეზის გამო.საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მეცხრამეტე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.“[14]

„მაშასადამე, დანაშაულის მცდელობის არსი პოზიტიურ ნიშნებზე და ნეგატიურ ფაქტორებზე დაყრდნობით გაიგება.[15] დანაშაულის მცდელობის პოზიტიურ ნიშნებში იგულისხმება სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლში აღწერილი სუბიექტური და ობიექტური ნიშნები, რომლებიც საფუძვლად უდევს მცდელობის დასჯადობას. რაც შეეხება ნეგატიურ ფაქტორს, ის მე-19 მუხლის ფარგლებს გარეთაა და გულისხმობს იმ მიზეზებს, რომლებიც ქმედების ბოლომდე განუხურციელებლობას უდევს საფუძვლად.“[16]

მაშასადამე ჩვენ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ასეთი მიზეზების რამდენიმე ჯგუფი: მაგალითად როდესაც უშუალოდ დამნაშავის მიზეზით და მისი საშუალებით ვერ ან არ ხორციელდება შედეგი, ან კიდევ როდესაც მისგან ანუ დამნაშავისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ვერ მიიღწევა შედეგი.

წინამორბედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლში მოცემული დანაშაულის მცდელობის ცნებამ გარკვეული ცვლილებები განიცადა სისხლის სამართლის კოდექსში. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია და ყურადღება გასამახვილებელია არა გრამატიკულ ცვლილებებზე არამედ ყურადღება უნდა

---

[14] ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ. 99

[15]იხ. ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ. 99

[16] იხ.იქვე. გვ. 99

გავამახვილოთ იურიდიული ხასიათის ცვლილებეაზე, რომელიც მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსში მცდელობის საკანონმდებლო დეფინიციის ღირსებად უნდა ჩაითვალოს. მცდელობის ერთ-ერთი კონსტიტუციური ნიშანი ისაა, რომ დანაშაული არ მოდის სისრულეში ანუ არ დგება დანაშაულებრივი შედეგი.[17]

„მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 19-ე მუხლის პირველი ნაწილი აღარაფერს ამბობს იმაზე თუ ვინ არ რამ განაპირობა შედეგის არ დადგომა. ამგვარი პოზიცია მართებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან საკითხის სწორად დასმა მოითხოვს ერთმანეთისაგან განვასხვავოთ დასჯადი და არადასჯადი მცდელობა. სწორედ ამ კუთხით საკითხის განუხილველობამ შეიყვანა შეცდომაში წინამორბედი სისხლის სამართლის კოდექსის კანონმდებელი და ათქმევინა, რომ თუ ქმედება არ ისჯება, მაშინ არც მცდელობაზე არ შეიძლება საუბარი. რეალურად კი საქმის ვითარება სულ სხვანაირად არის. კერძოდ, როგორც მომზადებას, ისე მცდელობას ნებისმიერ შემთხვევაში ადგილი აქვს მიუხედავად იმისა, თუ რა მიზეზით არ დადგა დანაშაულებრივი შედეგი.“[18]

„სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებული შეხედეულების თანახმად, მცდელობის განსაზღვრების დროს აუცილებლად უნდა ყოფილიყო მითითება დანაშაულის შემადგენლობის ბოლომდე განუხორციელებლობის შესახებ და საკმარისი არ იყო იმის დადგენა, რომ ქმედება უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად. აღნიშნული შეხედულება ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკაში საფუძვლად დაედო საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის შინაარს. საკანონმდებლო დონეზე დანაშაულის მცდელობის ასეთი განმარტება მოიცავს, როგორც დაუმთავრებელი, ასევე დამთავრებული მცდელობის მომენტებს. თუმცა, იგი ვერ წვდება დანაშაულის მცდელობის ყველა

[17]იხ. დვალიძე ი. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი. 2007 გვ.160
[18] იხ.იქვე გვ.160

შემთხვევას, მაგალითად in dubio pro reo-ს და უმოქმედობით დანაშაულის ჩადენის ისეთ შემთხვევებს, როდესაც შედეგის დადგომის მიუხედავად, სახეზე არ არის სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირობა, შედეგის თავიდან აცილებადობა.სსკ-ის მე-19 მუხლით გათვალისწინებული მცდელობის ცნების ნაკლოვანება გახლავთ ასევე განმარტებაში მოცემული ბოლო ფრაზა ,,მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი''. რაღა თქმა უნდა აქ გაჩნდება კითხვა ვის მიერ იქნა დანაშაული ბოლომდე მიყვანილი? პასუხი მარტივია, ვინაიდან დანაშაულის მცდელობის უმართლობას დამნაშავე ახორციელებს ამდენად ის გახლავთ დანაშაულის ამსრულებელი და სწორედ მის მიერ არ უნდა იქნეს დანაშაული ბოლომდე მიყვანილი. მაგრამ აქვე ლოგიკურად გაჩნდება მეორე შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ თუ ამსრულის მიერ დანაშაული ბოლომდე არ განხორციელდა, გახდება თუ არა ასეთი შემთხვევა სსკ-ის მე-19 მუხლის მიხედვით, მცდელობის დასჯადობის ღირსი? უარყოფითი ნაწილაკით გამოხატული აზრი, რომ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, გულისხმობს იმას, რომ თავად ამსრულებელმა აღარ ისურვა დანაშაულის ბოლომდე მიყვანა. ეს კი თავის მხრივ, მიუთითებს არა დასჯად მცდელობაზე არამედ ნებაყოფლობით ხელის აღებაზე. სწორედ ამიტომ სსკ-ის მე-19 მუხლში აღნიშნული ხარვეზი გასწორდეს."[19] აშშ-ს MPC-ის თანახმად ,,დანაშაულის მცდელობა" არის ნაბიჯი დანაშაულის განსახორციელებლად.[20]

ამასთან მცდელობის მუხლში ასეთი მითითება ეჭქვეშ არ დააყენებს სისხლის სამართლის მეცნიერებაში სამართლის მეცნიერებაში აღიარებულ შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ნებაყოფლობით ხელის აღებით დანაშაულის მცდელობის ანულირება არ ხდება.

---

[19] ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ. 100-101

[20]იხ. Model Penal Code- აშშ-ს მოდელური სისხლის სამართლის კანონი. ამერიკა 1962

აქედან გამომდინარე ყველა ამ პრობლემების გათვალისწინებით და ლევან ხარანაულის აზრით, რომელსაც მეც ვიზიარებ კარგი და სასურველი იქნება სსკ-ის მე-19 მუხლის შინაარსი თუ იქნება შემდეგნაირად: ,,დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი, გამონაკლისი შემთხვევების გარდა.

„დანაშაულის მცდელობის ცნება და მისი პრაქტიკული ინტერპრეტაცია განსხვავდება ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რასაც შესაბამისი ქვეყნის მიერ სისხლის სამართლის ართეული ორიენტაცია განაპირობებს. დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საფუძვლად სუბიექტური და ობიექტური თეორიები ოდითგანვე ეცილებოდნენ ერთმანეთს. თითოეულ თეორიას ჰქონდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარე, რის გამოც დროთა განმავლობაში მათ დაკარგეს თავიანთი პირველადი სახე. მიუხედავად ამისა, ისინი დღემდე ინარჩუნებენ თავიანთ იდენტობას და გვევლინებიან თეორიებად და მათგან ნაწარმოებ სხვადასხვა სახელმძღვანელო ტესტებად,[21] რომელიც უპირატესად ობიექტური მასშტაბებით განისაძღვრება, და თეორიებად, რომლებიც უპირატესად სუბიექტური მოლოდინებით და სუბიექტურად გაგებული საფრთხეებით განიმარტებიან. მცდელობის განსაზღვრაზე ობექტური და სუბიექტური თეორიების მონაცვლეობა ისტორიული ფონით, არსებული ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური ფაქტორებითა და კონტექსტებით უნდა აიხსნას. საკუთრივ დაუმთავრებელი დანაშაულის ინსტიტუტის აღიარებაც სწორედ ამ ფაქტორებით საბუთდება.“[22]

---

[21]იხ. გეგელია თ. სადისერტაციო ნაშრომი. დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები. თბილისი 2018 გვ129-130

[22] გეგელია თ. სადისერტაციო ნაშრომი. დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები. თბილისი 2018 გვ129-130

„როგორც ცნობილია, დანაშაულის მცდელობის გენერალური დასჯადობა სამართლის ანგლო-ამერიკულ სისტემაში მე-18 საუკუნეში გაჩნდა, ხოლო მე-19 საუკუნის დასაწყისში უკიდურესი ფორმა მიიღო, კერძოდ, დასჯადი გახდა დანაშაულის ჩადენისკენ მოწოდებაც. მცდელობის გენერალურ დასჯადობას წინ უძღოდა მრავალი სპეციალური შეკვეცილი დელიქტის კრიმინალიზება, რომელიც, დღევანდელი გადმოსახედით, იყო მომზადებისა და მცდელობის დამთავრებული შემადგენლობები.“[23]

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას რომ დაუმთავრებელი დანაშაულის სახეებიდან დანაშაულის მცდელობას აქვს ძალზედ დიდი სამართლებრივი რეგულირების ფარგლები. მისი არსი მდგომარეობს იმაში რომ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენა ყველა შემთხვევაში სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას არ იწვევს, რადგან ფორმალური დანაშაულების შემთხვევაში, როდესაც მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა არ არის აუცილებელი, დამნაშავისთვის სასურველი შედეგი არ დგება და ის კვალიფიცირდება როგორც მცდელობა ანუ ქმედება სისრულეში არ ან ვერ იქნა მიყვანილი. სწორედ აქედან გამომდინარე, ვფიქრობ რომ მცდელობას აქვს მნიშვნელოვანი და საინტერესო ფარგლები.

2.2 დანაშაულის მცდელობის ნიშნები ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით

სისხლის სამართლის კოდექსი კერძო ნაწილში მოცემული ყველა შემადგენლობის მცდელობას სჯის. სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ იყო მიმართული დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე

[23] გეგელია თ. სადისერტაციო ნაშრომი. დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები. თბილისი 2018 გვ.130

არ იქნა მიყვანილი.[24] „ამგვარად კანონი დანაშაულის მცდელობის შემდეგ ნიშნებს ითვალისწინებს: 1.პირის ქმედება მიმართულია კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად, 2. დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარე სრულად არაა განხორციელებული, 3.პირს დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების მიმართ განზრახვა ამოძრავებს.“[25]

მცდელობისას დანაშაულის სუბიექტური მხარე სრულყოფილადაა მოცემული, ობიექტური კი ხარვეზით ხასიათდება. ობიექტური მხარის დეფექტი შემდეგი გარემოებებითაა განპირობებული მაგალითად: „პირმა დანაშაულის მომზადება დაასრულა და უშუალოდ დანაშაულის განხორციელებაზე გადადის, მაგრამ მიზანს ვერ ან არ აღწევს, რადგან მას ხელს უშლიან ან იგი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე თვითონ ამბობს უარს.“[26]

დანაშაულის მცდელობა მაშინაც გვაქვს.როდესაც სასურველი შედეგი დადგება, მაგრამ პირს ეს შედეგი ობიექტურად ან სუბიექტურად არ შეერაცხება,[27] მაგალითად: „პირი მკვლელობის განზრახვით ესვრის და დაჭრის დაზარალებულს, სასწრაფო მანქნა, რომელსაც ის საავადმყოფოში მიჰყავს, გადაბრუნდება და მსხვერპლი დაიღუპება. პირს დაზარალებულის სიკვდილი უბიექტურად არ შეერაცხება, რადგან მან გასროლით დააფუძვნა მსხვერპლის ტყვიით სიკვდილის და არა ავარიაში დაღუპვის საფრთხე. თუ ობიექტური შერაცხვის სამართლებრივ ფიგურას არ ვაღიარებთ, პასუხისმგებლობა დამდგარი სასიკვდილო შედეგებისათვის გამოირიცხება პირის განზრახვით მოცემული მიზეზობრივი კავშირის და არსებითი განსხვავების გამო, ანუ სუბიექტური შერაცხვის სამართლებრივი ფიგურის

[24]იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=205 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მე-19 მუხლი. თბილისი 1999

[25]იხ. მჭედლიშვილი ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011 გვ.35

[26] იხ.იქვე გვ.35

[27]იხ. მჭედლიშვილი ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011 გვ.36

მოშველიებით. ორივე შემთხვევაში პირი მხოლოდ მკვლელობის მცდელობისათვის დაისჯება.“[28]

„ქმედება მცდელობად შეიძლება დაკვალიფიცირდეს მაშინაც, როდესაც პირი ობიექტურად, მართალია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ მან ამის შესახებ არაფერი იცის. კლასიკური შემთხვევა: როდესაც გერი კლავს მამინაცვალს, რომელიც გადახრილია მძინარე ცოლის საწოლისაკენ და მას ახრჩობს. გერმა არ იცის, რომ იგი ამ მოქმედებით საკუთარ დედას იხსნის სიკვდილისაგან. გერის მოქმედება აუცილებელ მოგერიებად არ ჩაითვლება, რადგან იგი სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნით არ მოქმედებს, შედეგის უღირსობის არარსებობის გამო მას უმართლობა მაინც არ ჩაუდენია. ქმედების უღირსობა გვაქვს, შედეგისა კი არა. ამგვარად, აქ უღირსობის ისეთივე კონსტელაციაა. როგორც მცდელობის დროს.მცდელობა სამართლებრივი სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნაა. მცდელობის შემადგენლობის ნიშანია და დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების რეალიზაციის, დანაშაულის ობიექტური მხარის განსახორციელებლად მიმართული მოქმედების უშუალოდ დაწყება. დანაშაულის მომზადების და დანაშაულის მცდელობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა ძირითადად ამ ნიშნით ხდება.“[29]

„გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დანაშაულის მცდელობა ისეთ შემთხვევას წარმოადგენს, როდესაც მაგ: როცა დამნაშავე თავის წარმოდგენით დანაშაულის განხორციელებას დაიწყებს. დანაშაულის მცდელობა დანაშაულის მოსამზადებელ და დანაშაულის დასრულებულ საფეხურებს შორის მდგომი სტადიაა.

[28]მჭედლიშვილი ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011 გვ.36

[29] მჭედლიშვილი ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011 გვ.36-37

მაშასადამე, სტრუქტურული თვალსაზრისით, დანაშაულის მცდელობის სტადიასთან გადის, ერთი მხრივ, დამთავრებული დანაშაულის, ხოლო, მეორე მხრივ, დანაშაულის მომზადების საზღვარი. მცდელობას დანაშაულის შუა სტადიად მოიხსენიებენ. იგი არის უკვე დაწყებული, მაგრამ ჯერ კიდევ დაუსრულებელი დანაშაულის საფეხური."[30]

დანაშაულის მცდელობის ნეგატიურ ნიშნად გვევლინება დამნაშავისათვის ობიექტურად შესარაცხი დასრულებული ქნედების ნაკლულობა, ხოლო მცდელობის პოზიტიური ნიშანი გულისხმობს დამნაშავის გადაწყვეტილებას განსაზღვრული დანაშაულის ჩადენის შესახებ და ამ გადაწყვეტილების დადასტურებას, რაც გამოიხატება ქმედების შემადგენლობის განხორციელების უშუალო დაწყებაში.[31]

„გერმანიის სისხლის სამართალში გაბატონებული შეხედულების თანახმად, დანაშაულის მცდელობაში იგულისხმება დამნაშავის წარმოდგენით ქმედების შემადგენლობასთან ახლოს მდგომი რეალური საფრთხე, ანდა ex ante-დ შეცნობადი ქმედების არასაშიში ხასიათი, რომელიც ახლოს დგას ქმედების შემადგენლობასთან და კანონმდებლის შეფასებით, იგი წარმოადგენს სამართლის ნორმისათვის სერიოზულ საფრთხეს."[32]

დანაშაულის მცდელობის დამახასიათებელია ობიექტური მხარის ხარვეზი. თუ ხარვეზი სუბიექტურ მხარეშია ასეთ შემთხვევაში, გამოირიცხება მცდელობა და საერთოდ შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობა, იმიტომ, რომ ქურდობის შემადგენლობა მისაკუთრების მიზნის გარეშე არ არსებობს. მცდელობის შემადგენლობის სუბიექტური მხარის არსებობას ხელს არ უშლის ის გარემოება, რომ პირი ქმედების განხორციელებას რაიმე ობიექტურ პირობას უკავშირებს. როცა ჯიბის ქურდი ვინმეს ჯიბეში ხელს უყოფს, მან ხშირად არც იცის, აქვს თუ არა მსხვერპლს

[30]იხ. ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.102
[31] იხ იქვე. გვ 102
[32] იხ. იქვე გვ.102

ჯიბეში რაიმე ძვირფასი. სხვის ჯიბეში ხელის ჩაყოფა ფულის ან სხვა ნივთის მისაკუთრების მიზნით უკვე დანაშაულის მცდელობაა, მაშინაც კი, როცა დამნაშავე ქმედობის შემადგენლობაში არაა დარწმუნებული.[33]

დანაშაულის მცდელობის დროს ჩადენის გადაწყვეტილება უნდა იყოს საბოლოო. სუბიექტური მხარე არ გვექნება იმ შემთხვევაში თუ დანაშაულის მცდელობის დროს, პირი ვერ წყვიტავს და დარწმუნებული არაა ამ ქმედების ჩადენაში.„ქართულ სისხლის სამართალში მომზადებასა და მცდელობას შორის საზღვრის გავლებისას გადამწყვეტად დანაშაულის შემადგენლობის შინაარსი ითვლება, თუმცა ქმედების შემადგენლობის უშუალო ურთიერთობის, შემადგენლობის განხორციელების დაწყების გვერდით მცდელობად იმ ქმედებასაც აღიარებენ, რომლებიც ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებას უშუალოდ უძღვის წინ.“[34]

„ქართულ სისხლის სამართლის დოგამტიკაში ერთსა და იმავე ქმედებას ყოველგვარი დოგმატიკური არგუმენტაციის გარეშე, ერთი დანაშაულისათვის მომზადებად აღიარებენ და მეორესათვის კი მცდელობად. საცხოვრებელ ბინაში შესვლა მკვლელობის მიზნით, მომზადებად კვალიფიცირდება, ქურდობის მიზნით მომზადებად კვალიფიცირდება, ქურდობის მიზნით კი მცდელობად. ამ განსხვავებული კვალიფიკაციის დოგმატიკური საფუძვლის მოძებნა ძნელია. შესაძლებელია, რომ სისხლის სამართლის სპეციალისტები მკვლელობის ჩასადენად საჭირო ფსიქოლოგიურ ზღვრის გადალახვის სიძნელეს იღებენ მხედველობაში, როდესაც

[33]იხ. მჭედლიშვილი ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011 გვ.38

[34] მჭედლიშვილი ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011 გვ.40

ისინი მკვლელობის მიზნით ბინაში შესვლას მკვლელობის მომზადებად აფასებენ და არა მცდელობად.“[35]

არსებობს შემთხვევები როდესაც რთულია გაარჩიო ერთმანეთისგან დანაშაულის მომზადება და მცდელობა, და ხშირია ისეთი შემთხვევები როდესაც ერევათ შესაბამის უფლებამოსილ პირებს მათი სწორი დაკვალიფიცირება, შეიძლება პირმა ჩაიდიანა დანაშაული მაგალითად: დანაშაულის მომზადება, მან ყველაფერი გაკეთა ამისათვის ყველა გარემოებაც ამაზე მეტყველებს, მაგრამ მოხდა მისი ქმედების არასწორი მუხლობრივი დაკვალიფიცირება და მას დაუკვალიფიცირეს ქმედება, როგორც დანაშაულის მცდელობა, ასეთი შემთხვევები მრავლადა ჩვენს პრაქტიკაში და სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ამ საკითხის სიღრმისეული შესწავლა. მაგ: „იარაღის ჯიბიდან ამოღება ჯერ კიდევ მომზადებაა. იარაღის დამიზნება არაა ქმედების შემადგენლობის რომელიმე ნიშნის განხორციელება, მაგრამ სამართლებრივი სიკეთისათვის შექმნილი კონკრეტული საფრთხის გამო ეს ქმედება უკვე მცდელობად ითვლება.“[36]

ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლი და გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაგი, განსაზღვრავენ მცდელობის ცნებას მათ შეიძლება ითქვას, რომ აქვთ როგორც საერთო ისე განსხვავება ერთმანეთთან, ისინი ჩამოყალიბებულია ისე რომ ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ დანაშაულის მცდელობის, როგორც პოზიტიური ისე ნეგატირუი ელემენტები, ფაქტორები, რომლებიც დანაშაულის შემადგენლობის დგინდება.[37]

---

[35] იხ. იქვე გვ.40

[36] მჭედლიშვილი ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011 გვ.41

[37] ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.106

„ზოგჯერ შედეგის დადგომის მიუხედავად, ქმედება დანაშაულის მცდელობად ფასდება, ანუ როდესაც დამნაშავეს შედეგი უშუალოდ არ გამოუწვევია, ანდა როდესაც მას შედეგი ობიექტურად არ ერაცხება. ასეთ შემთხვევებს მაშინაც აქვს ადგილი, როდესაც მიზეზობრივი კავშირი წყდება მესამე პირის ან თავად დაზარალებულის მეშვეობით და შედეგის გამოწვევა სრულებით სხვა ახალი მიზეზით ხდება. ასევე, აღიარებულია, რომ სულ მთლად ატიპიური შემთხვევის დროს, ქმედების დამთავრებულ დანაშაულად შეფასება, გამორიცხულია. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სასურველია, თუ კი სსკ-ის მე-19 მუხლი ასე ჩამოყალიბდა: დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი, გამონაკლისი შემთხვევების გარდა.“[38]

„გერმანიის ძველი სსკ-ის 43-ე პარაგრაფთან შედარებით, ახალი სსკ-ის 22-ე პარაგრაფი ერთი შეხედვით მცდელობის დაწყების ფორმულას მნიშვნელოვნად ავიწროვებს, სადაც დანაშაულის მცდელობის არსებობა, თუმცა ობიექტური მასშტაბით განისაზღვრება მაგრამ მას ასევე საფუძვლად უდევს სუბიექტური შეფასება.“[39]

ალაბამის კოდექსის მიხედვით პირი არ მიეცემა პასუხისგებაში, თუ კონკრეტულ სიტუაციაში მან ნებაყოფლობით აიღო ხელი კრიმინალურ განზრახვაზე, ან ხელის აღება არ იყო საკმარისი და კიდევ გადადგა სხვა ნაბიჯი მის შესაჩერებლად, რამაც ხელი შეუშალა დანაშაულის შესრულებას. პირი დაისჯება დანაშაულის მცდელობისთვის, თუ ის ჩაიდენს რაიმე მკაფიო ქმედებას, დანაშაულის ჩადენის განზრახვით.[40]

---

[38]იხ. ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.106-107

[39] იხ.იქვე. გვ.107

[40]იხ. Alabama Criminal Code – 2017 Section 13A 4-2 Attempt (c)

მაშასადამე ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეჯამების სახით უნდა ითქვას რომ დანაშაულის მცდელობას აქვს სპეციფიკური და მკაცრად განსაზღვრული ნიშნები, რომელთა მეშვეობითაც უნდა დადგინდეს ქმედების დაწყება-არ დაწყების ან დასრულების ფაქტი. როგორც აღვნიშნე, მცდელობას იურიდიულ ლიტერატურაში უწოდებენ დანაშაულის შუა სტადიას, რომელიც გულისხმობს ქმედების დაწყებასა და დასრულებას შორის არსებულ პერიოდს. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ რომ ქართული სისხლის სამართლის მიხედვით განსაზღვრული მცდელობის ნიშნები საჭიროებს დახვეწას და გაფართოებას. რათქმაუნდა ამის ერთბაშად ასე გაფართოება და დახვეწა შეუძლებელია მისი დახვეწა უნდა მოხდეს რათქმაუნდა ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ეტაპობრივად,

თავი III

დანაშაული მცდელობის თეორიები

3.1 მცდელობის ფორმალურ-ობიექტური თეორია

ობიექტური თეორიებიდან ფორმალურ-ობიექტური თეორია, შეიძლება ითქვას ყველაზე უფრო თანმიმდევრული თეორიაა. ამ თეორიის მიხედვით, დანაშაულის მცდელობას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როცა დამნაშავე სისხლის სამართლის კანონში აღწერილი ქმედების განხორციელებას დაიწყებს, ამ დროს შესაბამისი ქმედების სულ მცირე ნაწილი მაინც უნდა განხორციელდეს.[41]

„ფორმალურ-ობიექტური მოძღვრება ქმედების განხორციელებას დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედების თანაბარმნიშვნელოვნად მიიჩნევს. ამ ქმედებათა თანაბარმნიშვნელობის საკითხს ხაზს უსვამს ფორმალურ-ობიექტური თეორიის მთავარი ბელინგი, რომლის მიხედვით, დელიქტის შესაბამისი საკანონმდებლო შემადგენლობა მცდელობის დროს, განხორციელების უბრალო

[41]იხ. ხარანაული ლ.სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.109

დაწყებაში გადადის, რომლის დროსაც ქმედებები, რომლებიც ჯერ კიდევ არ შეესაბამება ქმედების შემადგენლობას, მხოლოდ მოსამზადებელ ქმედებად მიიჩნევა.“

დანაშაულის მცდელობის და საფრთხის შემქმნელი დელიქტების ურთიერთმიმართების პრობლემა, ეს მეტად საკამათოა როგორც ქართულ ისე უცხოურ სიხლის სამართლის მეცნიერებაში.[42] დანაშაულის მცდელობა და საფრთხის შემქმნელი დელიქტები ხასიათდებიან საერთო ნიშნებით უპირატესად ეს შეეხება ობიექტურ ნიშნებს. მაგალითად, დანაშაულის მცდელობის დროსაც, ისე როგორც საფრთხის საფრთხის შემქმნელი დელიქტების განხორციელებისას, საფრთხე ექმნება სამართლებრივ სიკეთეს. საფრთხის შემქმნელი დელიქტებიც დანაშაულის მცდელობას მოგვაგონებს თავისი ბუნებით, რამდენადაც კანონმდებელს დანაშაულის დამთავრების ეტაპი ადრეულ სტადიაზე აქვს გადმოტანილი და არ მოითხოვს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას.[43]

ფორმალურ-ობიექტურ თეორიას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. მისი დამსახურება ის არის, რომ იგი შეესაბამება კანონიერების ისეთ პრინციპს, როგორიც არის ,,*nullum crime sine lege* “ , რადგან იგი არ იყენებს ისეთ კრიტერიუმებს, რომლებიც დანაშაულის შემადგენლობის გარეთ დგას.[44]

ჩვენ ასევე უნდა ვისაუბროთ როგორც, ფორმალურ ობიექტურ თეორიაზე და მის დადებით მხარეებზე ასევე მის ნაკლზეც, რომლეიც მდგომარეობს იმაში რომ ის ვერ ახერხებს განსაზღვროს თუ როდის უნდა ჩაითვალოს დანაშაულის მცდელობად

---

[42]იხ. ცქიტიშვილი თ. სადისერტაციო ნაშრომი ,,ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები“. თბილისი 2014 გვ.192

[43]იხ. ცქიტიშვილი თ. სადისერტაციო ნაშრომი ,,ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები“. თბილისი 2014 გვ.192

[44]იხ. ხარანაული ლ.სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით’’. თბილისი 2013 გვ.110

ქმედება და როდის არა, ტერმინები რომლებზეც ლისტი აკეთებს აქცენტს, არ არის ის ,,მაგიური სიტყვები", რომელიც ამ პრობლემის დადებითად გადაწყვეტას შეძლებს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ დანაშაულის ცნება უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ ფორმალური, არამედ მატერიალური კრიტერიუმითაც.დღესდღეობით ფორმალურ-ობიექტური თეორიით უკვე რთულია გერმანულ სისხლის სამართალში დანაშაულის მცდელობის ახსნა, რადგან გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფის ტექსტის მიხედვით, მცდელობის დასაბუთებისთვის აუცილებელია არა ქმედების შემადგენლობის ნაწილობრივ განხორციელება, არამედ ასევე ქმედების შემადგენლობის განხორციელების შედგომა.[45]

აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, რომ მცდელობის არეალი ქმედების ნაწილობრივ განხორციელებით არ არის შეზღუდული. დანაშაულის მცდელობის შესახებ არსებული ფორმალურ-ობიექტური თეორიის სამართლებრივი ღირებულება, ვფიქრობ რომ მაღალია, რადგან საკანონმდებლო დონეზე ნორმის სახით განსაზღვრული ქმედების პრაქტიკაში განხორციელებისთვის უნდა არსებობდეს შესაბამისი საფუძვლები. მიმაჩნია, რომ დანაშაულის მომზადებასა და მცდელობას შორის არსებითი განსხვავებების გაკეთება, სწორედ აღნიშნული თეორიის ფარგლებში უნდა მოხდეს.

3.2 მცდელობის პირობათა თეორია

„ფორმალურ ობიექტურ თეორიასთან ახლოს დგას პირობათა თეორია, რომლის მთავარი მიმდევრები არიან ბინდინგი და ბირკმეიერი. ეს მოძღვრება ერთმანეთისაგან მიჯნავს პირობას და მიზეზს.მიზნის მიღწევის პროცესს ბინდინგი აფასებს, როგორც მამოძრავებელ და შემაფერხებელ ფაქტორებს შორის ბრძოლას. მიზეზობრიობა მას მიაჩნია პოზიტიურის მიერ შედეგის ნეგატიური პირობების

[45] იხ.იქვე. გვ.110

გადაწონა, რომელიც გამოწვეულია ადამიანის ნებით. მისი შეხედულებით მიზეზობრიობა არ არის უბრალო გადამწყვეტი, ზემოქმედი პირობა, არამედ თვისობრივად სულ სხვა რამ არის, კერძოდ კი ნების განხორციელებაა. მისი თქმით, ის რაც პირობად არის მიჩნეული, არასოდეს არ ჩაითვლება მიზეზად. იგი ქმედების განხორციელებას ისევე განმარტავს, როგორც დანაშაულის შემდაგენლობის შესაბამისი ქმედების განხორციელებას."[46]

ამ აზრთან დაკავშირებით თავის მოსაზრება აქვს ბირკმაიერსაც, ის ფიქრობს პირიქით, რომ მიზეზი უნდა მოიძებნოს პირობების წრეში. ის მოქმედების მიზეზს ისევე განმარტავს, როგორც ქმედების განხორციელებას, რომელსაც იგი დანაშაულის შემადგენლობის შესაბამის ქმედების საკანონმდებლო გაგებასთან ათანაბრებს.[47]

„პირობათა თეორია შეიძლება შეფასდეს, როგორც მცდელობის შესახებ თანამედროვე პოზიციის წინამორბედი, რადგან ის მცდელობას მიაკუთვნეს."[48] ბირკმაიერს, რომელსაც შეცნობილი ჰქონდა პირობის და მიზეზის გამიჯვნის სირთულეები, დასაშვებად მიიჩნევდა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მოსამართლის თავისუფალი შეხედულებით მიენდოთ. მაგრამ არ იქნება მართებული მოსამართლისათვის იმ საკითხის მინდობა, რომლის გადაწყვეტაც მეცნიერებამ და კანონმდებელმა ვერ შეძლო.

საერთო ჯამში, პირობათა თეორიას არც თუ ისე ბევრი საერთო მახასიათებელი აქვს ფორმალურ-ობიექტურ თეორიასთან. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თითოეული ქმედების დროს უნდა შეფასდეს ყველა შესაძლო და გამომწვევი პირობა, რომელთა საფუძველზეც მოხდა ქმედების განხორციელება. ამ პირობათა შესწავლის და

---

[46]იხ. ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.110

[47] ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.111

[48] იხ. იქვე. გვ. 111

სამართლებრივი შეფასების შემდეგ, უნდა განისაზღვროს ის კონკრეტული მიზნები, რომლებიც დანაშაულებრივ ქმედებას ედო საფუძვლად და უნდა შედარდეს იმ მოსალოდნელ მიზნებთან, რომლის მისაღწევადაც მოქმედებდა დამნაშავე. ყოველივე ზემოაღნიშნული არის საკანონმდებლო ხელისუფლების პრეროგატივა და მათი მეშვეობით უნდა მოხდეს სამართლებრივი შეფასება.

3.3 მცდელობის სუბიექტური თეორია

სისხლის სამართლის ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ კუმულატიურ და ალტერნატიულ განზრახვას. კუმულატიურია განზრახვა, როდესაც პირმა იცის, რომ იგი ერთდროულად ქმედების რამდენიმე შემადგენლობას ახორციელებს. კუმულატირუი განზრახვით განხორციელებული ქმედების დასახელებული ვარიანტები შემდეგნაირად უნდა დაკვალიფიცირდეს: პირველად პირი მოქმედებს კუმულატიური განზრახვით ანუ მას ამოძრავებს პირდაპირი განზრახვა, როგორც უძრავ მოძრავი ქონების განადგურების, ასევე მსხვერპლის სიკვდილის მიმართ, ამიტომაც მას ამოძრავებს პირდაპირი განზრახვა როგორც უძრავ მოძრავი ქონების განადგურების, ასევე მსხვერპლის სიკვდილის მიმართ, ამიტომ მას ყველა შედეგი შეერაცხება, რაც მისმა ქმედებამ გამოიწვია.[49]

თემურ ცქიტიშვილის მოსაზრებით, თუ დანაშაულის მცდელობა სამართლებრივი სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნას გულისხმობს, რა აუცილებლობით შეიძლება იყოს გამოწვეული კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების შემადგენლობათა შემოტანა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში? [50]

---

[49] იხ. მჭედლიშვილი ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011 გვ.63

[50] ცქიტიშვილი თ. სადისერტაციო ნაშრომი ,,ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები“. თბილისი 2014 გვ.199

თინათინ წერეთელი აღნიშნავდა, რომ საფრთხის შემქმნელ დელიქტთა შეტანა სისხლის სამართლის კოდექსში ზოგჯერ განპირობებულია იმით, რომ ევენტუალური განზრახვით ჩადენილი მცდელობა არ შეიძლება იწვევდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ასევე კონონმდებელს არ სურს დაუსჯელად დატოვოს ისეთი შემთხვევები როცა ადამიანი საფრთხეს ქმნის რაიმე სიკეთისათვის. მაგალითად: უმწეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანის სიცოცხლისათვის, ითვალისწინებს და შეგებულად უშვებს ასეთ შედეგს, მაგრამ შედეგი არ განხორციელდება.[51]

არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობას გამორიცხავს ასევე ოთარ გამყრელიძეც, სსკ-ს მე-19 მუხლის თანახმად, დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება. მართალია ნორმის ტექსტში პირდაპირ არ არის მითითებული, რომ არაპირდაპირი განზრახვით მცდელობა შეუძლებელია, მაგრამ როგორც ოთარ გამყრელიძე აღნიშნავს, სიტყვები ,,უშუალოდ“ და ,,მიმართული“ პირდაპირ განზრახვას გულისხმობს.[52]

სუბიექტური თეორიის მომხრეთა აზრით, ქმედების დასჯადობას აფუძვნებს არა ქმედების ობიექტურად გამოვლენის მომენტი, არამედ დანაშაულის სუბიექტური ნება. მაგრამ უბრალო დანაშაულებრივი ნება საკმარისი არ არის მცდელობის დასჯადობისათვის, დასჯადობის წინაპირობას დანაშაულებრივი საქმიანობა წარმოადგენს. სუბიექტური თეორიის მიხედვით დავობენ მხოლოდ იმის შესახებ, თუ როგორი და რა მოცულობის უნდა იყოს ნებელობითი საქმიანობა, რომ მისი დასჯადობა შესაძლებელი გახდეს.[53]

---

[51] იხ.იქვე. გვ.199

[52] იხ.ცქიტიშვილი თ. სადისერტაციო ნაშრომი ,,ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები“. თბილისი 2014 გვ.199

[53] ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.118

ქეთევან მჭედლიშვილი ჰედრიხის მოსაზრებით, ალტერნატიული განზრახვის დროს პირის განზრახვა რამდენიმე შესაძლო და ერთმანეთის გამომრიცხველ შედეგს მოიცავს. გერმანულ ლიტერატურაში გამოთქმული აზრის მიხედვით, ალტერნატიული განზრახვა ევენტუალური განზრახვის ქვესახეა, ზოგიერთი ავტორი კი მას განზრახვათა ერთობლიობასაც უწოდებს.[54]

მერაბ ტურავა საყვედურობს ართანმიმდევრულობას ავტორებს, რომლებიც ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობას გამორიცხავენ და აღნიშნავს, რომ მაშინ, როცა არსებობს მხოლოდ ვარაუდი, იმისა რომ დამნაშავე ქმედების განხორციელებისას შეიძლება უშვებდა სასიკვდილო შედეგის დადგომას, ქმედება დამდგარი შედეგის მიხედვით უნდა დაკვალიფიცირდეს. მერაბ ტურავას აზრით მაშინ როცა მაგ: მსხვერპლისთვის ჭრილობა მიყენებულია სიცოცხლისთვის საშიშ ადგილას და იგი ცოცხალი გადარჩება, ხოლო ბრალდებული დუმილის უფლებით სარგებლობს ასეთ შემთხვევაში რთულია სასამართლოსა და პროკურატურისთვის იმის დადგენა, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა დამნაშავეს მსხვერპლის შესაძლო სიკვდილთან მიმართებით ვინაიდან ასეთ ჭრილობას ყოველთვის არ მოსდევს სასიკვდილო შედეგი.[55]

მერაბ ტურავა თვლის, რომ საგამოძიებო ორგანოს და სასამართლო ორგანოს, ევენტუალური განზრახვით მცდელობა და მისი აღიარება უფრო „უადვილებს ცხოვრებას.“[56]

„ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში ტრადიციულად გაბატონებულია შეხედულება იმის შესახებ, რომ დანაშაულის მცდელობა მხოლოდ პირდაპირი

---

[54]იხ. მჭედლიშვილი ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011 გვ.64

[55]იხ. ცქიტიშვილი თ. სადისერტაციო ნაშრომი ,,ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები“. თბილისი 2014 გვ.200

[56] ტურავა მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 9-ე გამოცემა, გამომცემლობა მერიდიანი თბილისი. 2013

განზრახვით შეიძლება განხორციელდეს. ევენტუალური განზრახვით ჩადენილი ქმედება კი კონკრეტულად დამდგარი შედეგის მიხედვით უნდა დაკვალიფიცირდეს.“[57]

„სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ მიზანი მცდელობის აუცილებელი ელემენტია, ევენტუალური განზრახვის დროს დამდგარი შედეგი პირის მიზანს არ შეესაბამება, ამიტომ ევენტუალური განზრახვით მცდელობა შეუძლებელია. ასევე არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შეუძლებლობაზე სსკ-ს 127-ე და 128-ე მუხლებიც მიუთითებენ. ეს მუხლები კანონმდებელმა delictum sui generi-ს სახით ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის გამო წარმოშობილი ხარვეზის შესავსებად შემოიღო.“[58]

სუბიექტური თეორიის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ნებელობითი ელემენტია ანუ ის სუბიექტური ნიშანი, რომელიც უნდა შეფასდეს ინდივდუალური შემთხვევების დროს. დამნაშავეს ამოძრავებს გარკვეული სურვილი, რომელიც სულდგმულობს კონკრეტული სამართლებრივი მოტივით და რომელიმე სამართლებრივი სიკეთის დაზიანების ან განადგურების სურვილით, რა დროსაც პოტენციური დამნაშავე გამოხატავს ნებას ამ შედეგების მიმართ. სწორედ ამ ნებელობის ხარისხის შეფასებაა საჭირო, რათა სწორად მოხდეს განხორციელებული ქმედების სუბიექტური თეორიის ფარგლებში მოქცევა.

3.3.1 ბურის თეორია

„სუბიექტური თეორიის მამამთავრად ბური მიიჩნევა. იმ დროს, როდესაც სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და მეცნიერებაში გაბატონებული იყო ობიექტური თეორია, ბურმა თავისი შეხედულების გამყარება მაშინ მოახერხა. ბურის მოძღვრების მიხედვით მცდელობაში არ გაიგება რეალურად, ობიექტურად დაუმთავრებელი

[57]იხ. მჭედლიშვილი ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011 გვ.71
[58] იხ.იქვე. გვ 71

ქმედება, არამედ ქმედების დაუმთავრებელი ხასიათი არის მხოლოდ დამნაშავეში და მის წარმოდგენაში.“[59]

დანაშაული მცდელობისას, ადგილი აქვს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისაკენ მიმართულ ნებას. ზუსტად ეს ნება წარმოადგენს ბურის შეხედულებით მცდელობის დასჯადობას.ბური ხელყოფისაკენ მიმართულ ნებას მცდელობისათვის გადამწყვეტ ნიშნად აფასებდა. მცდელობის ობიექტურ ელემენტებს იგი არავითარ მნიშვნელობას არ ანჭებდა, რადგან მცდელობას დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა არ გააჩნია. ბური უვარგის და ვარგის მცდელობას შორის განსხვავებას ვერ ხედავდა, რადგან მისი აზრით ყოველი მცდელობა ex post ფასდება. ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბური იყო ერთ-ერთი მეცნიერი, რომელიც ირეალურ მცდელობას დასჯადად მიიჩნევდა.[60]

სუბიექტური თეორიის მსგავსად, ბურის თეორიაც ნებელობით ელემენტზე აკეთებს აქცენტს. ვინაიდან, დანაშაულის მცდელობას არ აქვს ობიექტური შემადგენლობა, მისი სამართლებრივი დატვირთვა გადადის სუბიექტურ შემადგენლობაზე, რომელიც დამნაშავის მიერ ნების გამოვლენას გულისხმობს. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ბური უვარგის და ვარგის მცდელობას შორის განსხვავებას ვერ ხედავდა, ვფიქრობ რომ არსებობს გარკვეული სახის განსხვავებები და მათი შეფასება კანონმდებლის მიზანს უნდა წარმოადგენდეს. მცდელობის დახარისხება მისი ვარგისიანობის და უვარგისობის თვალსაზრისით, ჩემი აზრით, გამართლებულია, თუმცა საჭიროებს შესაბამის კონკრეტიზაციას და ურთიერთ დაბალანსების აუცილებლობას.

3.3.2 მოწონების თეორია

[59] იხ. ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.118-119
[60] იხ.იქვე. გვ 118-119

„მოწონების თეორიის'' წარმომადგენელი არის ბოკელმანი. მისი აზრით დანაშაულის მცდელობა მაშინ არის სახეზე, როდესაც დანაშაულებრივი განზრახვა კრიტიკული სიტუაციის გამოცდას გაუძლებს. კრიტიკულ სიტუაციას კი მაშინ აქვს ადგილი, როდესაც დამნაშავე გარკვეული ამოცანის წინაშე დგას, რომელიც გულისხმობს დამნაშავის მიერ ქმედებისათვის ხელის მოკიდებას და ქმედების შემადგენლობის განხორციელებისაკენ წაყვანას. ეს ხდება წამში, სადაც ბოლო განსაზღვრული გადაწყვეტილებით ქმედება მოწონებულ იქნება. ის რაც მაგალითად ამ წამში მოხდება, დანაშაულის მცდელობას წარმოადგენს."[61]

ბოკელმანის აზრით და მისი შეხედულებით საკითხი მოდის წინააღმდეგობაში, როცა გამიჯვნის საკითხი დანაშაულის მომზადების და მცდელობისა, ობიექტური კრიტერიუმით წყდება, რაც შეეხება უვარგისი მცდელობის საკითხს, ის ფასდება სუბიექტრური კრიტერიუმებით.[62]

განსხვავებით ზემოთ დასახელებული თეორიებისა, მოწონების თეორიას არ აქვს სამართლებრივად მყარი საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ ქმედების განსახორციელებლად პირს სჭირდება გარემოფაქტორებისან გამოწვეული რაიმე ბიძგი, გამოდის რომ ის წინააღმდეგობაში მოდის სუბიექტურ თეორიასთან, რადგან ნებელობითი ელემენტის არსებობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. სწორედ ამიტომ, მოწონების თეორია დამნაშავის მიერ განსახორციელებელი ქმედების მოწონებას ითხოვს, რაც განისაზღვრება ამ ქმედების განსახორციელებლად გადადგმული ნაბიჯებისა და მიმართულებების განსაზღვრაში.

---

[61] ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.119

[62]იხ. ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.120

IV თავი

დანაშაულის მცდელობის სახეები

4.1 დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის ურთიერთგამიჯვნა

„ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობა. ამ ორი გამოვლინების ფორმის ურთიერთგამიჯვნა ამსრულებლის გონებაში ჩამოყალიბებული წარმოდგენის მიხედვით წარმოებს. ამგვარ დაყოფას

დიდი პრაქტიკურლი მნიშვნელობა იმიტომ აქვს, რომ ამსრულებელს ისეთი ქმედებისას, რომელსაც ჯერ არ გადაუბიჯებია დაუმთავრებელი მცდელობის სტადიისთვის, ქმედების ჩადენაზე საკუთარი გადაწყვეტილების უკუგდებისა და ქმედების მხოლოდ შემდეგი გაუგრძელებლობით უკვე შეუძლია სასჯელისაგან გათავისუფლებას მიაღწიოს. დამთავრებული მცდელობისას ამსრულებელმა შედეგის დამაბრკოლებელი საქმიანობა უნდა გაშალოს ანუ საწინააღმდეგო ღონისძიება უნდა გაატაროს და იგი შედეგის თავიდან აცილების წარმატების რისკს ატარებს."[63]

დამთავრებული დანაშაული უკვე რეალიზებული საფრთხეა. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. დანაშაულის დამთავრება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის აღწერილი ქმედება კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში. ზოგჯერ კანონმდებელს საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში დანაშაულის დამთავრების მომენტი წინა ეტაპზე, კერძოდ, დანაშაულის მცდელობის სტადიაზე გადააქვს. მაგალითად, ყაჩაღობა 179-ე მუხლის თანახმად არის თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის დასაუფლებლად. მაშასადამე თავდასხმა, რომელიც არსებითად მცდელობა უნდა იყოს, ამ მუხლის მიხედვით უკვე დამთავრებული დანაშაულია.[64]

მცდელობა დაუმთავრებელია იმ შემთხვევაში როდესაც ამსრულებელი იაზრესბ იმას, რომ მას ყველაპერი ჯერ კიდევ არ გაუკეთებია. მაშასადამე მცდელობა დასრულებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში როცა პირი ფიქრიბს, რომ მან ყველაპერი გააკეთა ამისთვის და აანალიზებს რომ მისი მოქმედება საკმარისია შედეგის დადგომისთვის.[65]

---

[63]იხ. ვესელსი ი., ბოილკე ვ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბილისი 2010. გვ.370-371

[64] გამყრელიძე ო. სისხლის სამართლის პრობლემები III ტომი, თბილისი 2013 გვ:244

[65] ვესელსი ი., ბოილკე ვ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბილისი 2010. გვ.371

„სადავო იყო საკითხი მცდელობის ორი გამოვლინების ფორმის ურთიერთგამიჯვნა დანაშაულის დანაშაულის დაწყების მომენტისათვის ამსრულებლის გონებაში არსებული აზრთა წყობის მიხედვით უნდა წარმოებდეს, თუ მას საფუძვლად ქმედების აღმასრულებელი ბოლო აქტის დასრულებისას ჩამოყალიბებული ამსრულებლის წარმოდგენა უნდა დაედოს.“[66]

სამართლის ლტერატურაში დანაშაულის მცდელობა იყოფა ორ ნაწილად: დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობად. მაგრამ ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი ასეთ დაყოფას არ იცნობს, დაუმთავრებელია მცდელობა როდესაც მაგ: პირმა, დამნაშავემ რომელმაც აიღო ხელში ბასრი რაიმე საგანი და მოუქნია სხვა პირს დასარტყმელად, მაგრამ მას ხელიდან გაგდებინეს ეს საგანი, ასეთი მცდელობა არის დაუმთავრებელი მცდელობა. [67]

ასევე ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ დამთავრებული მცდელობის მაგალითიც, რომლიც თინა წერეთელს მოყავს, როდესაც პირი ანუ დამნაშავე ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დადგეს შედეგი, მაგ: პირი აღელვებულ მდინარეში გადააგდებს მსხვერპლს და ელოდება აუღელვებლად მოვლენების განვითარებას: ასეთ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ დამთავრებულ მცდელობას.[68]

„თუ ერთად შევკრებთ პოზიციას, რომელმაც დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობის ურთიერთგამიჯვნის მიზნით ხელის აღების ჰორიზონტის საფუძველზე, ამჯერად აღიარებული შეხედულების სახით, სასამართლო პრაქტიკასა და იურისპრუდენციაში დაიმკვიდრა ადგილი, გამოჩნდა რომ არსებითად გადამწყვეტი მნიშვნელობა შემდეგ გარემოებებს აქვთ: თუ ამსრულებელი ქმედების განხორციელების შემდგომ გაგრძელებაზე იმ რწმენით აიღებს ხელს, რომ ქმედების

[66] იხ იქვე გვ.371
[67] გამყრელიძე ო. სისხლის სამართლის პრობლემები III ტომი, თბილისი 2013 გვ:250
[68] წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბილისი 1961 გვ.152

შემადგენლობის შესაბამისი შედეგი, რომლისკენაც იგი მიისწრაფვის, ან რომლის გამოწვევაც მას საკუთარი წარმოდგენის მიხედვით უფრო შორეული მიზნის მისაღწევად სჭირდება, ჯერ არ დამდგარა და მისი მომდევნო ქმედების გარეშე არც დადგება, აგრეთვე მას საკუთარი მიზნის მიღწევა ქმედების განხორციელების გაგრძელების შემთხვევაში მის განკარგულებაში არსებული ასამოქმედებლად გამზადებული საშუალებებით ჯერ კიდევ შეუძლია, მაშინ განსახილველი დანაშაულის დაუმთავრებელ მცდელობაზე ხელის აღება გვაქვს."[69]

თუ მაგალითად ამსრულებელმა დანაშაულის ჩადენაზე საკუთარი გადაწყვეტილების განხორციელებისას იმ სტადიას მიაღწია, რომელზეც მისი თვალსაზრისით შედეგის დადგომის დიდი ალბათობა არსებობს, მაშინ მას ხელის აღების პრივილეგიის დამსახურება უკვე მხოლოდ ქმედების განხორციელების შემდეგი არგაგრძელებით კი არა, არამედ ჯერ კიდევ საპირისპიროდ მოქმედი სერიოზული სამაშველო აქტიურობით შეუძლია, რადგან ყველაზე გვიანი შემთხვევისათვის, აღნიშნულ მომენტში, მისი მცდელობა დამთავრებულია. მსგავს ვითარებაში ამსრულებელი აპელირებას ვერც იმაზე მოახდენს, რომ მას მოქმედების თავისი საწყისი გეგმა სრულად არ ამოუწურია ან მან საკუთარი ჩანაფიქრის სარეალიზაციოდ არ გამოიყენა სხვა შესაძლებლობებიც, რომლებიც მას შედეგის დადგომას პირდებოდნენ, გადამწყვეტი მნიშვნელობა მხოლოდ მის ცნობიერებაში გაცხადებულ კონკრეტული სახიფათო მდგომარეობიდან მომდინარე შედეგის დადგომის დიდ ალბათობას აქვს. მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, კვლავაც სურს ამსრულებელს აღნიშნულ მომენტში შედეგის დადგომა თუ მხოლოდ ურიგდება მას.[70]

---

[69]იხ.ვესელსი ი. ბოილკე ვ, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბილისი 2010. გვ.374

[70] ვესელსი ი. ბოილკე ვ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბილისი 2010. გვ.375

ასევე სავსებით არაა გასაკვირი და დასაშვებია დაუმთავრებელი მცდელობის არსებობის დადასტურებისთვის კარი ღია იმიტომ რჩებოდეს, რომ ამსრულებელმა რეალური საფრთხის შექმნის შეუცნობლობისას მსხვერპლის ქცევაზე დაყრდნობით გამოიტანა დასკვნა, თითქოს სასიკვდილო შედეგი მოსალოდნელი არ იყო. დამთავრებული მცდელობა სახეზე მაშინ გვაქვს როდესაც ამსრულებელი ქმედების გაგრძელების შესაძლებლობის კვლავ არსებობისას, მართალია თავდაპირველად შედეგისთვის საკუთარი ქმედების ვარგისიანობით არ ხელმძღვანელობდა, მაგრამ იმ წამშივე შეიცნობს ქმედების შემდაგენლობით გათვალისწინებულ შედეგის დადგომის დიდ ალბათობას.[71]

მოცემული შეხედულებებიდან გამომდინარე, განსხვავება დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობას შორის საკმაოდ საინტერესოა. ის ვინც ქმედებას წამოიწყებს და გადადგამს საკმარის ნაბიჯს კონკრეტული შედეგის დადგომის სურვილით, მოქმედებს დამთავრებული მსჯელობის ფარგლებში. ხოლო ის, ვინც გადადგამს ნაბიჯს, მაგრამ ეს ნაბიჯი არ იქნება საკმარისი ამ შედეგის დადგომისთვის, იქნება დაუმტავრებელი მცდელობის შემადგენლობა. ერთი შეხედვით მარტივი შესამჩნევია მათ შორის განსხვავება, თუმცა თითოეულ შემთხვევაში ძალზედ რთულია. ის უნდა შეფასდეს ინდივიდუალური მახასიათებლებით.

4.2 დანაშაულის მცდელობის კლასიფიკაცია ქართული და უცხოური სისხლის სამართლის მიხედვით

დამაშაულის მცდელობის კლასიფიკაცია შესაძლებელია სხვადასხვაგვარად განხორციელდეს. იგი შეიძლება დაიყოს დაუსჯელ და დასჯად მცდელობად, ვარგის და უვარგის მცდელობად, აბსოლუტურად უვარგის და შედარებით უვარგის მცდელობად.დანაშაულის მცდელობის კლასიფიკაციის დროს ცალკე გამოიყო

[71] იხ. იქვე გვ 375

მცდელობის ისეთი ნაირსახეობა, როგორიც არის უვარგისი მცდელობა. უპირველეს ყოვლისა, სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიუთითებენ იმაზე, რომ ეს ცნება ,,უვარგისი მცდელობა'' ლოგიკურ შეუსაბამობას წარმოადგენს. თუ კი მცდელობა უვარგისია მაშინ იგი მცდელობას აღარ წარმოადგენს და იგი ვერ იქნება იურიდიული მსჯელობის ობიექტი.[72]

„უვარგისი მცდელობა თავისი ბუნებით უკავშირდება ფაქტობრივი შეცდომის ინსტიტუტს, რამდენადაც სამყაროში არსებულ რეალობაზე ადამიანის მცდარი წარმოდგენის შედეგად დანაშაული განუხორციელებელი რჩება, ამიტომ ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომის წყალობით, დანაშაულის მცდელობა ზოგჯერ კი პირიქით, კარგავს სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას. მაშასადამე დასაშვებია უვარგისი მცდელობის გაანალიზება ფართო და ვიწრო გაგებით. უვარგისი მცდელობის ვიწრო გაგება თავის თავში დასჯად უვარგის მცდელობას გულისხმობს, ხოლო უვარგისი მცდელობა ფართო გაგებით დასჯად უვარგის მცდელობასთან ერთად, დაუსჯელ უვარგის მცდელობასაც მოიცავს.“[73]

უვარგისი მცდელობას, შესაძლებელია, მიეკუთვნოს ისეთი შემთხვევები როგორიცაა: მცდელობა შეფარდებით უვარგისი საშუალებით, მცდელობა შეფარდებით უვარგისი ობიექტის მიმართ, მცდელობა აბსოლუტურად უვარგისი საშუალებთ, მცდელობა აბსოლუტურად უვარგის ობიექტზე, მცდელობა უვარგისი სუბიექტის მიერ და მცდელობა უვარგისი ქმედებით.[74]

---

[72] ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.262

[73] იხ.იქვე. გვ 262

[74] ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.263

„დანაშაულის მცდელობა - ეს არის განზრახი ქმედება, რომელიც წარმოადგენს არსებით ნაბიჯს დანაშაულის განსახორციელებლად, რითაც დანაშაულის დასრულების კონკრეტული საფრთხე შეიქმნა.“[75]

დანაშაულის მცდელობის დეფინიცია, ამერიკისა და ფინეთის კანონმდებლობით, განსაზღვრული ცნებების სინთეზია, მაგრამ მხოლოდ ფორმით და არა არსით.

„საშუალებას, რომელიც ქმედებას შედეგის განუხორციელებლობის გამო უვარგის მცდელობად აქცევს, მიეკუთვნება ყველა ის იარაღი, საგანი მეთოდი თუ მოვლენა, რომელსაც უბიექტურად არ შეუძლია შედეგის გამოწვევა. დასჯად და არადასჯად უვარგის მცდელობას მიკუთვნებულ საშუალებებს ერთმანეთისაგან იმით განასხვავებენ, რომ შეფარდებით უვარგის საშუალებას მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში არა აქვს დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევის უნარი, ხოლო აბსოლუტურად უვარგისი საშუალებით საერთოდ არ შეიძლება შედეგის მიღწევა. სისხლის სამართლის ლიტერატურაში შეფარდებით უვარგისი საშუალებით საილუსტრაციოდ ასახელებენ ისეთ შემთხვევას, როდესაც დამნაშავე მკვლელობის ჩასადენად იყენებს იარაღს, საიდანაც ვაზნა ამოღებულია, ანდა იგი მკვლელობის ჩასადენად იყენებს სიცოცხლისათვის უვნებელ ფხვნილს. თუმცა სისხლის სამართლის ზოგიერთი მეცნიერი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებულ ასეთ საშუალებას აბსოლუტურად უვარგის საშუალებებთან აიგივებს.“[76]

როგორც აღვნიშნეთ, თუ საშუალება საერთოდ გამოუსადეგარია შედეგის გამოსაწვევად, მაშინ შესაძლებელია აბსოლუტურად უვარგის საშუალებაზე საუბარი. აქედან გამომდინარე იარაღი, რომლიდანაც ვაზნაა ამოღებული, არ წარმოადგენს

---

[75]იხ. გეგელია თ. სადისერტაციო ნაშრომი. დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები. თბილისი 2018 გვ:85

[76] ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.263

აბსოლუტურად უვარგის საშუალებას, სამაგიეროდ სათამაშო იარაღი განიხილება აბსოლუტურად უვარგის საშუალებად.[77]

„შეფარდებით უვარგისი და აბსოლუტურად უვარგისი საშუალებების გამიჯვნას დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტის დროს. ამ საშუალებების კლასიფიკაციამ აჩვენა, რომ შეფარდებით უვარგისი საშუალებით ჩადენილი ქმედება დასჯად უვარგის მცდელობას მიეკუთვნება, მაშინ როდესაც აბსოლუტურად უვარგისი საშუალების გამოყენების დროს, ქმედება, შესაძლებელია დაუსჯელი დარჩეს. ამაზე მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-20 მუხლი, რომლის თანახმად პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისა ან მცდელობისათვის, თუ მისი უმეცრების ან სხვა პიროვნული ნაკლის გამო დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებით არ შეიძლება მიღწეულიყო შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო შედეგი.“[78]

მაშასადამე,დანაშაულის მცდელობის კლასიფიკაცია მოიცავს რამდენიმე შინაარსობრივად განსხვავებულ სახეს. მათ შორის აღსანიშნავია დამთავრებული და დაუმთავრებელი, ვარგისი და უვარგისი, სრულიად გამოუსადეგარი და სრულიად გამოსადეგი მცდელობის სახეები. მათ ერთი საერთო ნიშანი აქვთ - ისინი ერთიანდებიან დაუმთავრებელი დანაშაულის ერთ-ერთ სახის - დანაშაულის მცდელობის ქვეშ. თუ დანაშაულის მცდელობის განსხვავება მომზადებისგან სერიოზულ ძალისხმევას საჭიროებს, თვითონ მცდელობის სახეების ურთიერთგამიჯვნა უფრო სიღრმისეულ განსაზღვრებას და კონკრეტიზაციას მოითხოვს, რაც სამართალშემფარდებელის პრეროგატივაა.

---

[77]იხ. იქვე გვ.263

[78] ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.263

4.3 უვარგისი მცდელობის ცნება, სახეები და უვარგისი მცდელობის გამიჯვნა მოჩვენებითი დელიქტისგან ქართული და უცხოური სისხლის სამართლის მიხედვით

ირაკლი დვალიძის აზრით სისხლის სამართლის თეორიაში ცალკე განხილვის საგანია ,,უვარგისი მცდელობის'' პრობლემა, რომელსაც გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში პირველად დიდი ყურადღება ფოიერმახმა დაუთმო.[79]

ტერმინი ,,უვარგისი მცდელობა'' საკმაოდ პირობითია, რამდენადაც ნებისმიერი დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც მცდელობის სტადიაზე შეჩერდა, ,,უვარგისია'' ფართო გაგებით შედეგის გამოუწვევლობის გამო. ირაკლი დვალიძის აზრით ,,უვარგის მცდელობას'' სისხლისსამართლებრივი გაგებით ადგილი აქვს მაშინ, როდესაც განხორციელებულ ქმედებას თავიდანვე არ გააჩნია კონკრეტულ შემთხვევაში სინამდვილედ გადაქცევის შინაგანი ტენდენცია. მაგალითად დაზიანებული იარაღის კაცისათვის დამიზნებას და ჩახმახისათვის თითის გამოკვრას დასაწყისშივე არ ძალუძს სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა გადააქციოს სინამდვილედ ანუ გამოიწვიოს სიკვდილი.[80]

„უვარგისი მცდელობა თავისი ბუნებით უკავშირდება ფაქტობრივი შეცდომის ინსტიტუტს, რამდენადაც სამყაროში არსებულ რეალობაზე ადამიანის მცდარი წარმოდგენის შედეგად დანაშაული განუხორციელებელი რჩება. ამისდა შესაბამისად, უვარგისი მცდელობის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს მცდელობა უვარგის ობიექტზე. სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ამგვარ მცდელობას უწოდებენ უვარგის საგანზე მცდელობას ან არარეალურ ობიექტზე მცდელობას. უფრო მისაღებია ტერმინი ,,უვარგის ობექტზე'' მცდელობა, რადგან დანაშაული იურიდიული

---

[79] დვალიძე ი. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი. 2007 გვ.166
[80]იხ. იქვე გვ.166

გაგებით ხელყოფს სამართლებრივ სიკეთეს და არა საგანს. რაც შეეხება ტერმინს ,,არარეალური ობიექტი'', მიუღებელია იმ თვალსაზრისით, რომ ობიექტი, ანუ სამართლებრივი სიკეთე შეიძლება არსებობდეს რეალური ფორმით."[81]

,,უვარგისი მცდელობა" მაშინ გვაქვს სახეზე, თუ ქმედების ჩადენაზე გადაწყვეტილების განხორციელებას, ამსრულებლის წარმოდგენის საპირისპიროდ, ფაქტობრივი ან სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე უნარი არ შესწევს უმართლობის ობიექტური შემადგენლობის სრულყოფილ შესრულებამდე მიგვიყვანოს. ასეთ შემთხვევასთან ჩვენ საქმე გვექნება ამსრულებლების მიერ სუბიექტის ქმედების ობიექტის ან ქმედების საშუალების უვარგისობის გაუცნობიერებლობისას."[82]

მაგალითად, იოჰანეს ვესელსის მოსაზრებით ნამდვილი თანამდებობრივი დელიქტის განხორციელება იმ ამსრულებლის მიერ, რომელსაც შეცნობილი არა აქვს მისი თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ბრძანების ბათილობა, ამსრულებლის საზიანოდ მოქმედი, ქმედების შემადგენლობაში სხვა შეცდომები, მაგალითად გვამის მკვლელობის მცდელობა (ობიექტის უვარგისობა), ასევე სალათის უწყინარი სოუსის გამოყენებით მოწამვლის მცდელობა (ქმედების საშუალების უვარგისობა); ორსულად არმყოფი ქალისთვის თავის ტკივილის საწინააღმდეგო უწყინარი აბების გამოყენების გზით ნაყოფის მოშორების მცდელობა.[83]

მცდელობა არის უვარგისი, როდესაც ფაქტიური თუ სამართლებრივი საფუძვლის გამო ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელება შეუძლებელია.

---

[81] იხ.იქვე გვ.166

[82]ვესელსი ი.ბოილკე ვ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბილისი 2010. გვ.361

[83]იხ.ვესელსი ი. ბოილკე ვ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბილისი 2010. გვ.361

„მაგ: თუ პეტრე პავლეს მკვლელობის მიზნით თოფს დაუმიზნებს და ჩახმახს დააცემინებს ანუ თოფი დაუტენავი აღმოჩნდება პეტრე განახორციელებს მცდელობას უვარგისი საგნით, რადგან დაუტენავი თოფით კაცის მოკვლა შეუძლებელია. აქ გვაქვს მკვლელობის განხორციელების შეუძლებლობა ფაქტიური საფუძვლის, თოფის დაუტენაობის გამო. ასეთ შემთხვევაში პირი პასუხისგებაში მიეცემა მკვლელობის უვარგისი მცდელობისათვის სსკ-ს მე-19 და 108-ე მუხლებით.“[84]

განვიხილოთ კიდევ ერთი შემთხვევა მეტი თვალსაჩინოებისთვის, „მაგალითად გიორგი ბიძამისის ოჯახიდან მითვისების მიზნით ძვირფას ნახატს წაიღებს სახლში. მან არ იცის, რომ ბიძა გარდაიცვალა და სურათი მას უანდერძა. პირი ქურდობის შემადგენლობას არ ახორციელებს, რადგან ნივთი არაა სხვისი საკუთარი ნივთის ქურდობა შეუძლებელია, ის ამ შემთხვევაში ჩვენთვის ცნობილი უვარგისი მცდელობისათვის დაისჯება სსკ-ს მე-19 და 177-ე მუხლებით.“[85]

დღეისათვის უვარგისი მცდელობის დასჯადობა ფართოდაა გავრცელებული, უვარგისი მცდელობა წარმოადგენს შეხედულებას მცდელობის დასჯის შესახებ. ის მცდელობის დასჯის საფუძვლის შესახებ შეხედულებას ეფუძვნება.

ვერნერ ბოილკეს მოსაზრებით აბსოლუტურად დაუსჯელი დარჩება არარეალური, ადამიანური მართვისა და განკარგვის სფეროსადმი არადამორჩილებული საშუალებებით (მოჯადოება, დაწყევლა და სხვა) განხორციელებული ცრურწმენითი მცდელობა. ამ დროს შესრულებული არაა ქმედების შემადგენლობის განზრახვისა და ამგვარად სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი ქმედების ჩადენის შესახებ

[84]იხ. მჭედლიშვილი ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011 გვ.43

[85] მჭედლიშვილი ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011 გვ.43

გადაწყვეტილების არსებობის პირობა. შეუძლებელია იმის განხორციელების მონდომება, რაც მხოლოდ სურვილის სახით შეიძლება არსებობდეს.[86]

ტერმინს ,,უვარგისი მცდელობა“ სიხლის სამართლის კოდექსი არ ხმარობს. სსკ-ს მე-20 მუხლის თანახმად, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადების ან მცდელობისათვის, თუ მისი უმეცრების ან სხვა პიროვნული ნაკლის გამო დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებით არ შეიძლება მიღწეულიყო შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო შედეგი.[87]

სისხლის სამართლის თეორიაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ მცდელობას უვარგისი საგნით და მცდელობას უვარგის ობიექტზე. რაც შეეხება უვარგისი სუბიექტის მიერ მცდელობის დოგმატიკური ფიგურას, მისი არსებობა სადავოა.უვარგისი მცდელობის დასჯადობის დასაბუთება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს მცდელობის სუბიექტური თეორიისთვის იმიტომ რომ ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარე ამგვარი მცდელობისას სრულადაა განხორციელებული. უვარგისი მცდელობის დასჯადობის დასაბუთება პრობლემატურია მცდელობის ობიექტური თეორიის საფუძველზე. რადგან ქმედების განხორციელების შემდეგ დგინდება, რომ დანაშაულის განხორციელების კონკრეტული საფრთხე საერთოდ არ არსებობდა.[88]

უვარგისი მცდელობისთვის ზოგჯერ დამახასიათებელია ასევე ის, რომ დანაშაულის შემადგენლობის სრულად განხორციელების შეუძლებლობა უკვე მცდელობის

---

[86]იხ. ვესელსი ი. ბოილკე ვ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბილისი 2010. გვ.362

[87]იხ. მჭედლიშვილი ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011 გვ.44

[88]იხ. მჭედლიშვილი ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011 გვ.44-45

დასაწყისშივე აშკარაა. და შესაბამისად გამორიცხულია აქ რაიმე სამართლებრივი შედეგის დადგომა.[89]

„უვარგისი მცდელობის დასჯადობის შესახებ საზღვარგარეთის ქვეყნებში არაა ერთიანი აზრი. გერმანიის, შვეიცარიის, ავსტრიის, ესპანეთის, ინგლისის, ბელგიის სისხლის სამართალში უვარგისი მცდელობა დასჯადია. გამორიცხულია მხოლოდ აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დასჯადობა. უვარგის მცდელობას დასჯადად აღიარებს საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკა. იტალიის სისხლის სამართლის კოდექსი მცდელობას ობიექტურად განმარტავს და მცდელობად მხოლოდ იმ ქმედებას თვლის, რომელიც ყოველგვარი გაუგებრობის გარეშე დანაშაულის განხორციელებისაკენ არის მიმართული. დასჯადი მცდელობა იტალიურ სისხლის სამართალში აუცილებლად ვარგისი უნდა იყოს. იაპონიის სისხლის სამართალში როგორც თეორიაში, ასევე პრაქტიკაში უვარგისი მცდელობის დასჯადობას უარყოფენ.“[90]

„გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკა უვარგის მცდელობაში მოიაზრებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დამნაშავის წარმოდგენის საპირისპიროდ არსებულ გარემოებებს, ფაქტობრივი ან სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე, დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება არ შეუძლიათ. დამნაშავემ უნდა იცოდეს, რომ მისი ქმედება ვარგისია და მას ობიექტური შემადგენლობის სრულიად განხორციელების უნარი გააჩნია. იმ შემთხვევაში თუკი დამნაშავეს შეცნობილი აქვს მისი ქმედების უვარგისობის შესახებ, მაშინ მცდელობას არ ექნება ადგილი.“[91]

---

[89] ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.271

[90]იხ. მჭედლიშვილი ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011 გვ.45

[91]იხ. ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.271-272

უვარგისი მცდელობის დასჯადობა დღესდღეობით ფართოდ არის აღიარებული. მისი დასჯადობის საკითხი აღმოცენებულია მცდელობის დასჯადობის საერთო თვალსაზრისიდან და მასთან დაკავშირებული საკითხი გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე პარაგრაფის ფარგლებში რეგულირდება.[92]

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში უვარგისი მცდელობისგან მიჯნავენ ეგრედ წოდებულ ხელშეშლილ მცდელობას, რომელიც ლათინურად ასე ჟღერს Delictum perfectum, რაც დამთავრებულ დელიქტს ნიშნავს. იმის განსაზღვრას, რამდენად აქვს ადგილი ხელშეშლილ მცდელობას, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხის გადაწყვეტის დროს. [93]

გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე პარაგრაფის ძველი რედაქციით დანაშაულის მცდელობისთვის უნდა დასჯილიყო ის ვინც დანაშაულის განხორციელების გადაწყვეტილებას ქმედებით გამოხატავდა, რაც შესაბამისი დანაშაულის განხორციელების დაწყებას წარმოადგენდა.[94]

მეცნიერები, რომლებიც ამ პოზიციას მიჰყვებიან, ვარგისი მცდელობის დასჯადობის მთავარ კრიტერიუმებად დანაშაულებრივ გადაწყვეტილებას და ობიექტურად მისი განხორციელების რეალურ დაწყებას ასახელებენ. ამასთან ისინი მიუთითებენ საფრთხის, საფრთხის შექმნის და საშიშორების ელემენტებზე, როგორც ქმედების ობიექტრუი შემადგენლობის განხორციელებისა და დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის მთავარ ხელყოფის მთავარ ვექტორზე. თუმცა აღსანიშნავია რომ

[92] ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.272

[93] იხ.იქვე გვ. 272

[94]იხ. ცქიტიშვილი თ. სადისერტაციო ნაშრომი ,,ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები“. თბილისი 2014 გვ.207

მცდელობის დროს ამ სამი ელემენტიდან ,,საშიშროების“ ელემენტს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. [95]

აქედან გამომდინარე, ,,საშიშროების“ ელემენტი უვარგისი მცდელობის დროსაც აქტიურად უნდა გამოიყენებოდეს. ამასთან გადამწყვეტია დანაშაულის ადგილზე მყოფი მესამე პირის ეს სიტუაცია როგორ აღიქმება. თუ მესამე პირი ქმედებას რეალურად მიიჩნევს, მაშინ კონკრეტული საშიშროების მტკიცება ასეთ ვითარებაში დასაშვებია. მაგალითად ვინც მკვლელობის განზრახვით ცეცხლსასროლი იარაღიდან ისვრის საწოლის მიმართულებით და იქ მსხვერპლი ჰგონია, სახეზეა კონკრეტული საშიშროება. ასევე საშიშროებას ექნება ადგილი მაშინაც, როდესაც დამნაშავეს ცარიელი იარაღი დატენილი ჰგონია. პირიქით საშიშროებას არ აქვს ადგილი მაშინ, როდესაც დამნაშავე მკვლელობის განზრახვით დასაძინებელი წამლის უმნიშვნელო დოზას ასმევს მის მიერ ამორჩეულ ობიექტს.[96]

გერმანულის სისხლის სამართლისმიხედვით დანაშაულის მცდელობისათვის საკმარისია განზრახვის ის ფორმა, რომელიც დასრულებული დანაშაულისთვის იქნებოდა საკმარისი. რამდენადაც დელიქტების უმეტესობისთვის საკმარისია არაპირდაპირი განზრახვა, იგი საკმარისად უნდა ჩაითვალოს ასევე დანაშაულის მცდელობისთვისაც. ეს აღნიშნული მოსაზრება ევენტუალური ანზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის დასასაბუთებლად არ გამოდგება, ვინაიდან დანაშაულის განხორციელება გაუფრთხილებლობითაც არის შესაძლებელი, მაგრამ გაუფრთხილებლობით დანაშაულის მცდელობის განხორციელება წარმოუდგენელია.[97]

---

[95]იხ. ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.273

[96] იხ იქვე გვ.273

[97] ცქიტიშვილი თ. სადისერტაციო ნაშრომი ,,ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები“. თბილისი 2014 გვ.206

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩემი მოსაზრება ასეთია: შეიძლება ითქვას რომ უვარგისი მცდელობა მინიმალური სამართლებრივი სტანტარტით შესაფასებელი არ არის, რადგან ზღვარი ვარგის და უვარგის მცდელობას შორის ძალზედ მცირეა. უვარგისი მცდელობის დროს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩამდენი პირი წინასწარ გეგმავს კონკრტული დანაშაულის ჩადენას ზუსტად განსაზღვრული სამართლებრივი სიკეთის დაზიანების გზით და სურს გარკვეული მიზნის მიღწევა, რისთვისაც მოქმედებს გამიზნულად. საინტერესოა, რა მოხდება თუ ამ პირობებიდან შესრულდება ყველა, გარდა ერთისა - არ დადგება სასურველი შედეგი? ამ კითხვაზე პასუხი უნდა გასცეს თითოეულმა კონკრეტულმა შემთხვევამ, რომელიც უნდა შეფასდეს მოსამართლის მიერ სამართლებრივი ნორმალიზაციის ფარგლებში.

4.3.1 მცდელობა უვარგის ობიექტზე

უვარგის ობიექტზე მცდელობისას ხელმყობი მცდარად აღიქვამს თავდასხმის ობიექტს. მაგალითად „პეტრემ გაიტაცა საბრძოლო მასალა, რომელიც იყო ნესტიანი და ამის გამო საერთოდ უვარგისი აღმოჩნდა დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. ასევე თუ მაგალითად ხვიჩა ესვრის ადამიანის გვამს, რომელიც ცოცხალი ეგონა, ამ შემთხვევაში ქმედება უნდა შეფასდეს როგორც მცდელობად.“[98]

უვარგისი ობიექტისაგან უნდა გავმიჯნოთ ადგილზე არმყოფი ობიექტი. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სუბიექტი თავდასხმას ახორციელებს მისი წარმოდგენით სასურველ ობიექტზე. რომელიც სინამდვილეში ხელყოფის ადგილზე არ არის. მაგალითად, ავტომანქანის გატაცების მიზნით გარაჟის გახსნა, სადაც ავტომანქანა არ აღმოჩნდა. სხვა მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემთხვევა, როდესაც

[98]იხ. დვალიძე ი. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი. 2007 გვ.166-167

ბოროტმოქმედი აფეთქებს სახლს ადამიანის მოკვლის მიზნით, მაგრამ დაზარალებული სახლში არ აღმოჩნდება. ადგილზე არმყოფ ობიექტზე თავდასხმის შემთხვევაში, ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ ქმედება შესაბამისი დანაშაულის მცდელობად დაკვალიფიცირდეს.[99]

სისხლის სამართლის კანონმდებლობა უვარგის ობიექტზე მცდელობის საკანონმდებლო განმარტებას არ იძლევა. უვარგის ობიექტზე მცდელობისას ობიექტი, რომლის დაზიანებაც პირს აქვს გადაწყვეტილი, არ შეესაბამება იმ დანაშაულის შემადგენლობის მიერ დანაშაულის ობიექტისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. მცდელობა უვარგის ობიექტზე მაშინ გვაქვს, როდესაც იმ ობიექტის დაზიანება, რომლის წინააღმდეგაცაა ქმედება მიმართული, შეუძლებელია. მცდელობა უვარგის ობიექტზე არის პირის ფაქტიური შეცდომა ხელყოფის საგანში.[100]

„მცდელობა ადგილზე არმყოფ ობიექტზე, ქართულ სისხლის სამართალში გამოთქმული მოსაზრებით, არაა უვარგისი მცდელობა, რადგან ადგილზე არმყოფი ობიექტის დაზიანება შესაძლებელია და დანაშაულებრივი შედეგი მხოლოდ შემთხვევითი გარემოების გამო არ განხორციელდა. მიუთითებენ რომ ადგილზე არ მყოფ ობიექტზე თავდასხმა სამართლებრივი სიკეთისთვის რეალურ საფრთხეს ქმნის, ამგვარ მცდელობას არავითარი თავისებურება არ ახასიათებს და ის დასჯად მცდელობად უნდა დაკვალიფიცირდეს. მაგალითად: „პირი ღამე სხვის ბინაშიშეიპარება და მსხვერპლის მოკვლის მიზნით ლოგინის მიმართულებით ისვრის. სინამდვილეში იგი მსხვერპლს კი არა მის ლოგინზე მიდგმულ ქურქს დააზიანებს. მსხვერპლი სახლში საერთოდ არ აღმოჩნდება.“ ამ აზრის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ მცდელობა, უბიექტური თეორიის თანახმად, ის ქმედებაა რომელიც

[99] იხ. იქვე.გვ 166-167

[100] მჭედლიშვილი ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011 გვ.45

სამართლებრივ სიკეთეს კონკრეტულ საფრთხეს უქმნის. კონკრეტულია საფრთხე, რომელსაც დანაშაულის განხორციელების ტენდენცია აქვს.“[101]

„უვარგის ობიექტზე მცდელობას არ ექნება ადგილი მაშინ, როდესაც დამნაშავე თანაბარი ღირებულების ობიექტში დაუშვებს შეცდომას. მაგრამ თუ დამნაშავემ მოკვლის განზრახვით ესროლა მისი წარმოდგენით ადამიანს, სინამდვილეში იმ ადგილზე ადამიანის ნაცვლად ძაღლი აღმოჩნდა და მოკვდა, ეს ქმედება შეფასდება როგორც განზრახ მკვლელობის უვარგის მცდელობად. რაც შეეხება სხვისი ნივთის განზრახ დაზიანებისათვის პასუხისმგებლობას, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 პარაგრაფის საფუძველზე გამოირიცხება, რადგან ქმედების შემადგენლობაში დაშვებული შეცდომა განზრახვას გამორიცხავს.ასეთ შემთხვევაში როდესაც მაგალითად ბესომ თავის წარმოდგენით, ესროლა ბუჩქებში გარეულ ღორს და ააცილებს, სინამდვილეში ბუჩქებში ნადირის ნაცვლად ადამიანი იმყოფება, ასეთ შემთხვევაში ბესო არ დაისჯება მკვლელობის მცდელობისთვის, რადგანაც მას არ გააჩნია ადამიანის მოკვლის განზრახვა, და შესაბამისად არც იმის წარმოდგენა რომ ბუჩქებში ადამიანი იმყოფება.“[102]

ქმედების მცდელობად დაკვალიფიცირებისთვის, აუცილებელია რომ პირმა განახორციელოს რაიმე ქმედება მაგრამ სასურველი შედეგი არ დადგეს. ნებისმიერ შემთხვევაში, პირის ქმედება მიმართულია რომელიმე კონკრეტული ობიექტის ან ობიექტების მიმართ და თუ აღმოჩნდება, რომ ობიექტი არ არის ვარგისი როგორც სამართლებრივი სიკეთის მატარებელი, გამოდის რომ მცდელობა კი გვაქვს, თუმცა ეს მცდელობა არის უვარგისი ობიექტის გამო. ზემოთ განხილული არაერთი მაგალითი ნათლად წარმოაჩენს იმას, რომ უვარგის ობიექტზე მცდელობის დროს, პირს არ აქვს

[101] მჭედლიშვილი ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011 გვ.46

[102] ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.275-276

ამ ობიექტის უვარგისობის შეცნობის შესაძლებლობა და აღიქვამს როგორც ვარგისს. სწორედ ეს არის ძირითადი სუბიექტური ნიშანი ამ შემთხვევისთვის.

4.3.2 მცდელობა უვარგისი საშუალებით

ჩვენ როდესაც ვსაუბრობთ უვარგისი საშუალებით მცდელობაძე, უნდა აღვნიშნოთ, ტერმინი საშუალება ფართო გაგებით მოიაზრება და გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დანაშაულის ჩასადენად გამოიყენება არამარტო ისეთი საშუალება სისხლისსამართლებრივი გაგებით, არამედ იარაღი, საგანი, მეთოდი თუ მოვლენა, რომელსაც ობიექტურად არ შეუძლია დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევა. იმისდა მიხედვით გამოყენებული საშუალებით კონკრეტულ ვითარებაშია შეუძლებელი, თუ საერთოდაა შეუძლებელი მოცემული დანაშაულის განხორციელება.[103]

უვარგისი საშუალება არის ორის სახის: აბსოლუტურად უვარგისი და შეფარდებით უვარგისი. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის ასეთ დაყოფას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. აბსოლუტურად უვარგისია საშუალება, თუ მას არა მარტო მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში, არამედ საერთოდ არ ძალუძს გამოიწვიოს დანაშაულებრივი შედეგი.[104]

საერთო ჯამში, უნდა აღინიშნოს რომ ნებისმიერ დანაშაულებრივ ქმედებას ახლავს კონკრეტული ხერხი, რომლითაც ხდება სამართლებრივი სიკეთის დაზიანება ან განადგურება. თითოეულ შემთხვევაში, ეს ხერხები განსხვავდებიან ერთმანეთისგან. თუ დამნაშავის მიერ ჩადენილი ქმედება ხორციელდება ისეთი საშუალებით, რომელიც სრულიად გამოუსადეგარია მისთვის სასურველი შედეგის მისაღწევად, ეს ნიშნავს იმას რომ ქმედება ჩადენილია უვარგისი საშუალებით. დანაშაულის

[103] დვალიძე ი. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი. 2007 გვ.167
[104] იხ.იქვე გვ. 167

მცდელობის დროს, თუ პირი უვარგისი საშუალებით ცდილობს სხვისთვის რაიმე სახის ზიანის მიყენებას, მას ამის სურვილი აქვს და მიზანიც ამოძრავებს, თუმცა არ იცის მის ხელთ არსებული დანაშაულის ჩასადენად გამიზნული საშუალების უვარგისობის შესახებ. ეს ფაქტი გამომდინარეობს სუბიექტური შემადგენლობის ფარგლებიდან და თითოეულ შემთხვევაში საჭიროებს მკაფიო განმარტებას.

4.3.3 მცდელობა უვარგისი სუბიექტის მიერ

გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით უვარგის მცდელობად თვლიან აგრეთვე მცდელობას უვარგისი სუბიექტის მიერ. ამგვარ მცდელობას დოგმატიკოსთა აზრით, მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ქმედების შემადგენლობა სუბიექტის განსაკუთრებულ თვისებებს ითვალისწინებს და პირს ჰგონია, რომ მას ეს თვისებები ახასიათებს. ავიღოთ მარტივი მაგალითი მაგალითად: ნიკას ჰგონია რომ ის არის მოხელე და იღებს ქრთამს, სინამდვილეში კი ის ჯერ არაა მოხელედ დანიშნული.[105]

„უვარგისი სუბიექტის სამართლებრივი ფიგურა მცდელობის სუბიექტური თეორიიდან გამომდინარეობს. უვარგისი სუბიექტის დასჯადობის მომხრეები მიუთითებენ, რომ პირმა ამგვარ შემთხვევაში სისხლის სამართლებრივად უნდა აგოს პასუხი, რადგან მისი ნება სისხლის სამართლის ნორმის, სამართლის მიერ დადგენილი ვალდებულების წინააღმდეგაა მიმართული. ობიექტური თეორიის საფუძველზე ამგვარი მცდელობის დასჯადობა ვერ დასაბუთდება, რადგან სამართლებრივი მოვალეობის დარღვევა მხოლოდ იმ პირის მიერ შეიძლება, რომელსაც ეს მოვალეობები სინამდვილეში აკისრია, პირის წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მას ქმედების შემადგენლობაში გათვალისწინებული თვისება

[105]იხ. მჭედლიშვილი ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011 გვ.54

ახასიათებს, მას ამ თვისებას ვერ ვერ მიანიჭებს და იმ სუბიექტის მოქმედება, რომელიც არაა მოხელე, სახელმწიფოს ორგანოების ავტორიტეტს ვერც დააზიანებს და ვერც საფრთხეში ჩააგდებს.“[106]

გერმანულ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ მცდელობა უვარგისი სუბიექტის მიერ უვარგისი მცდელობის სამართლებრივ კონსტრუქციას შეესაბამება, მაგრამ დასჯადი არ უნდა იყოს. მასეზე ანალოგიით უნდა გავრცელდეს უკიდურესი უმეცრობით ჩადენილი მცდელობის დაუსჯელობის პარაგრაფი.[107]

„სისხლის სამართლის დოგმატიკა, უპირველეს ყოვლისა, სადავოდ არ თვლის მოჩვენებითი დელიქტის არსებობას მაშინ, როდესაც პიროვნება შეცდომით ფიქრობს, რომ იგი დამნაშავეა. ასეთ შემთხვევაში, სახეზეა შეცდომა, რომელიც დაუსჯელი რჩება. მაგალითად: პეტრე, რომელიც მუშაობს ფედერალური მიწის გამგეობაში დამლაგებლად და თავს სახელმწიფო მოხელედ მიიჩნევს, პავლე კი გარკვეულ თანხას იღებს ამ უკანასკნელის მიმართ არსებული ჯარიმის დამადასტურებელი აქტების დამალვის პირობით, ასეთ შემთხვევაში პეტრე არ განიხილება მექრთამეობის მცდელობის სუბიექტად.“[108]

მეორე მხრივ, დასჯად მცდელობას ყოველთვის ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სუბიექტის უვარგისობა მხოლოდ ობიექტის უვარგისობის შედეგია. „მაგალითად: როდესაც ქალი რომელიც თავს შეცდომით ფეხმძიმედ ასაღებს და ვითომდა ფეხმძიმობის შეწყვეტის მიზნით ზომებს მიმართავს, ჩადის უკანონო აბორტის მცდელობას, მიუხედავად იმისა, რომ იგი სინამდვილეში ფეხმძიმე არ არის. ასეთი ქმედება ფასდება მცდელობად და არა მოჩვენებით დელიქტად, თუმცა მოქმედი

---

[106] მჭედლიშვილი ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011 გვ.55

[107]იხ. იქვე გვ.55

[108]იხ. ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.277

გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობით ქალი მცდელობისათვის არ ისჯება.“[109]

ზემოთ დასახელებული არაერთი მოსაზრებიდან გამომდინარე, ნათელია რომ დანაშაულის მცდელობას ახასიათებს გარკვეული ფორმალური ნიშნები, რომელთა მეშვეობითაც დგინდება მათი არსებობა-არარსებობის საკითხი. მცდელობა უვარგისი სუბიექტის მიერ მაშინ გვაქვს სახეზე, როდესაც პირი საკუთარ თავში „ტყუვდება“. მას ჰგონია რომ არის სპეციალური სუბიექტი, თუმცა სინამდვილეში არ არის. ამას, ისევ და ისევ, მივყავართ სუბიექტური თეორიის საზღვრებთან, რადგან კონკრეტული ფაქტის შეცნობის საკითხი სუბიექტური ელემენტიდან გამომდინარეობს და ვფიქობ, რომ სუბიექტური ცოდნა-არ ცოდნა უნდა გახდეს ქმედებისთვის სწორი შეფასების საფუძველი.

4.3.4 აბსოლუტურად უვარგისი მცდელობა

აბსოლუტურად უვარგისი საშუალების გამოყენება არათუ საფრთხეს არ უქმნის სამართლით დაცულ ობიექტს, არამედ დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნადაც არ შეიძლება შეფასდეს. მაშასადამე აბსოლუტურად უვარგისი საშუალების გამოყენება მხოლოდ განზრახვის გამომჟღავნებად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც სისხლის სამართლის კანონმდებლობით არ ისჯება. სწორედ ამ შემთხვევას გულისხმობს სსკ-ის მე-20 მუხლი, რომელიც სიახლეს წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონმდებლობისთვის.[110]

აღნიშნული მუხლის თანახმად პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხსიმგებლობა დანაშაულის მომზადებისა ან მცდელობისათვის, თუ მისი

[109] ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.277
[110] დვალიძე ი. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი. 2007 გვ.167

უმეცრობის ან სხვა პიროვნული ნაკლის გამო დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებით არ შეიძლება მიღწეულიყო შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო შედეგი.[111]

„აბსოლუტურად უვარგისი საშუალებით მცდელობის დაუსჯელობის მიზანშეწონილობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ხელყოფა მოკლებულია მართლწინააღმდეგობას. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უვარგისი საშუალების გამომყენებელი არაა საშისი პიროვნება, რაფგან გამორიცხული არ არის მან მომავალში დანაშაულის ჩასადენად სავსებით ვარგისი საშუალება გამოიყენოს. სისხლის სამართლის კოდექსის მე-20 მუხლის მიხედვით უვარგისი საშუალების გამოყენება განპირობებული უნდა იყოს ან პირის უმეცრობით ან სხვა პიროვნული ნაკლით. პირის უმეცრებაში იგულისხმება არა მარტო საერთოდ გაუნათლებლობა და გაუთვითცნობიერებლობა, არამედ გარკვეული დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული უვიცობაც. მაგალითად 5 კილომეტრის სიმაღლეზე მყოფი თვითმფრინავისათვის სანადირო თოფის სროლა მისი ჩამოგდების მიზნით, ანდა როდესაც ცოლი ტახტზე წამოწოლილ ქმარს ბალიშს ესვრის მოკვლის მიზნით. პიროვნების უმეცრობას მიაწერენ შემთხვევას, თუ მოკვლის განზრახვით ადამიანს დაწყევლიან.“[112]

რაც შეეხება აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის შესახებ გამოთმულ მოსაზრებებს, ლოგიკურია რომ თეორეტიკოსებმა გამოხატეს სწორი და ზოგ შემთხვევაში, კვალიფიციური შეხედულება. ყველა ის შემადგენელი ნიშანი, რომელიც განსაზღვრავს ქმედების ჩამდენი პირის სამართლებრივი ბრალეულობის ხასიათსა და ხარისხს, უნდა დადგინდეს ამისთვის სპეციალურად შემუშავებული სამართლებრივი მეთოდების გამოყენებით. ვფიქრობ, რომ ქმედების მცდელობის აბსოლიტურად

[111]იხ. დვალიძე ი. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი. 2007 გვ.167

[112] იხ. დვალიძე ი. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი. 2007 გვ.167-168

უვარგისობის დადგენა დამდგარი შედეგის სახიდან უნდა მოხდეს. თუმცა, სუბიექტური ფაქტორი ძალზედ დიდ როლს თამაშობს, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

4.3.5 ირეალური მცდელობა

„არარეალური მცდელობის დაუსჯელობის დასასაბუთებლად სისხლის სამართლის დოგმატიკაში ორ სხვადასხვა ხერხს შეიძლება მივმართოთ. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ არარეალური მცდელობისას განხორციელებული ქმედება დანაშაულის მცდელობის შემადგენლობას არ შეესაბამება, რადგან გამოყენებული საშუალებით მოვლენათა შორის მიზეზობრივ კავშირზე ზეგავლენის მოხდენა და ამის შესაბამისად დანაშაულის ჩადენის განზრახვის აღსრულება შეუძლებელია.“[113]

არარეალური მცდელობაზე მცდელობის წესები არ ვრცელდება იმიტომ რომ ის პირობითი ცნებაა, ის განზრახვის გამომჟღავნებაა და არა მცდელობა.[114]

ირეალური მცდელობა გულისხმობს ისეთ მცდელობას, რომლის დროსაც დამნაშავეს არარსებული ან ყოველ შემთხვევაში მეცნიერულად არაღიარებული მაგიური ძალების დახმარებით ჰგონია, რომ შედეგს მიაღწევს.[115]

მაშინ როცა აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დროს დამნაშავე ყველასათვის აშკარა მიზეზობრიობის კანონებს ვერ ამჩნევს, ირეალური მცდელობის დროს, დამნაშავეს მაგიური და ზნეობრივი ძალების სჯერა. იგი იძახებს ისეთ ძალებს რომლებიც რეალურ სამყაროს არ მიეკუთვნება და შესაბამისად ადამიანებზეც გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ. ირეალური მცდელობის ქვეშ გაიგება ისეთი ქმედებები, როგორიცაა შელოცვა, ჯადოქრობა, დაწყევლა და სხვა ასე მაგალითად:

---

[113]იხ. მჭედლიშვილი ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011 გვ.53

[114] იხ.იქვე გვ 53

[115]იხ. ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ.281

ცოლს მოსეს მეშვიდე წიგნის დახმარებით სურს ეშმაკის გამოძახება რადგან მისი ქმარი დაწყევლოს და მოკლას იგი. აქ იკვეთება დამნაშავის სრული უვიცობა, რომელიც ცდილობს ვითომდა ბუნების კანონების მართვას.[116]

ზოგადად ყველა სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ირეალური მცდელობა არ წარმოადგენს დანაშაულის მცდელობას და არ შეიცავს მის ელემენტებს და ის არასდროს ისჯება. ჩემი აზრით, ირეალური მცდელობის სამართლებრივი საფუძვლები იმაზე სუსტია, ვიდრე ჩანს. არ შეიძლება ბრალად შერაცხო ადამიანს ის, რაც არარეალური, არა ამ ქვეყნიურია და მაგიურია. უფრო მეტიც, ასეთი ქმედების სამართლებრივი შეფასებისთვის მსჯელობაც კი ზედმეტია, ჩემი აზრით.

4.3.6 არშემდგარი მცდელობა

„დანაშაულის მცდელობა, არშემდგარია, თუ მისი შესრულებისთვის განხორციელებულმა ქმედებებმა ვერ მიაღწია საკადრის მიზანს. ამსრულებელმა შეიცნო, რომ ის მის განკარგულებაში არსებული საშუალებით ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებულ შედეგს ან საერთოდ ვეღარ გამოიწვევს ან, სულ მცირე, მის გამოწვევას მხოლოდ დროის მიხედვით, ხანგრძლივი პაუზის შემდგომ, შეძლებს. მაგალითად: როცა ქურდობის მიზნით გატეხილი ფულის კარადა უკვე ცარიელია; ან ქმედების ჩადენის ადგილზე დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობის ასანთები მექანიზმი აფეთქების სიგნალის მიცემისას არ ამუშავდება და ამსრულებელი საკუთარი ჩანაფიქრის წარუმატებლობას შეიცნობს. იგივე წესი მოქმედებს ისეთ შემთხვევებში, როდესაც დანაშაულის დამთავრება ობიექტურად ჯერ კიდევ შესაძლებელია, მაგრამ ამსრულებელი არ იცნობს ან ვერ აამოქმედებს ასეთი

[116]იხ. იქვე: გვ.281

სიტუაციისათვის საჭირო საშუალებას, რადგან მისი გამოყენების გამოცდილება არ გააჩნია.“[117]

„თუ დანაშაულს საფუძვლად მყარი გეგმა უდევს, მცდელობა არშემდგარი მაშინ იქნება, როდესაც დანაშაული ამსრულებლის წარმოდგენის მიხედვით მოცემულ დროსა და მოცემულ ადგილზე გეგმის შესაბამისად აღარ შეიძლება დამთავრდეს და მისი წარმატებულად განხორციელება მხოლოდ მნიშვნელოვანი დაყოვნებით ახალი მიზეზობრივი ჯაჭვის ამოქმედების გზითაა შესაძლებელი. ისეთ შემთხვევებში, სადაც მხოლოდ მცირე ხნის წინ შერჩეული დანაშაულის საშუალების ამოქმედება არ მოხერხდა, აღიარებული შეხედულების თანახმად, მცდელობა არშემდგარად არ ჩაითვლება, თუ ამსრულებელს, როგორც მას წარმოუდგენია აღნიშნულ მომენტამდე განხორციელებულ ქმედებაზე უშუალო მიბმით შეუძლია კვლავ წამოვიდეს ხელყოფაზე ან ახალი გამზადებული საშუალება აამოქმედოს. „მაგ: როცა გეგმის მიხედვით განხორციელებული, მსხვერპლისათვის მანქანის დაჯახებით, ან აივნიდან გადმოგდებით, მკვლელობის ან ბენზინის გადასხმის შემდეგ მისთვის ცეცხლის მოკიდების მცდელობა წარუმატებლად ჩაივლის და ამსრულებელი მაშინვე მასზე სუსტი მსხვერპლის დახრჩობაზე ან სხვა გზით მის მოკვლაზე გადავა,“ მაშინ უმეტესობის მიერ აღიარებული ერთობლივი განხილვის შესახებ მოძღვრების თანახმად, იგი ინარჩუნებს შესაძლებლობას ხელი აიღოს მთლიან მკვლელობის მცდელობაზე რასაც სასჯელისგან გამათავისუფლებელი ეფექტი ექნება, თუკი ამსრულებელი ნებაყოფლობით აიღებს ხელს ჯერ კიდევ შესაძლებელი დახრჩობის განხორციელებისგან და ამგვარად ხელს შეუშლის სასიკვდილო შედეგის დადგომა.“[118]

---

[117] ვესელსი ი. ბოილკე ვ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბილისი 2010. გვ.368.

[118]იხ.ვესელსი ი. ბოილკე ვ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბილისი 2010. გვ.369

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს რომ არშემდგარი მცდელობა პრაქტიკაში გავრცელებული სამართლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე გამოხატული ნიშნებით საზრდოობს. ხშირ შემთხვევაში, პირმა იცის რომ სასურველ შედეგს ვერ მიაღწევს საკუთარი გამოუცდელობის გამო, თუმცა მაინც სურს სასურველი შედეგის დადგომა. საინტერესოა, როგორ შეიძლება დადგეს ის შედეგი, რომელიც სურს მაგრამ ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად საჭირო ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნია. ვფიქრობ, რომ მცდელობის ამ სახის დადგენისთვის მხოლოდ თეორიაში გამოთქმული მოსაზრებები საკმარისი არ არის და აუცილებელია კონკრეტული პრაქტიკული შემთხვევების შედეგად გამოვლენილი ნიუანსების შეჯერება.

V თავი

დანაშაულში თანამონაწილეთა მცდელობის პრობლემატიკა

დანაშაულის მცდელობა როგორც საკანონმდებლო, ისე გავრცელებული თეორიული მიდგომით შედეგის რეალიზების უფრო მეტი შესაძლებლობის და შესაბამისად უფრო მეტი საფრთხის შემქმნელია დაცული სიკეთისთვის. მიუხედავად

გავრცელებული მოსაზრებისა, რომ დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საფუძვლად უვიექტური თეორია უნდა მოვიაზროთ, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა საპირისპირო მოსაზრება, რომელიც სუბიექტურ ორიენტაციაში ხედავს მცდელობის დასჯადობის არსს უპირატესად.[119]

„ქართულ სისხლის სამართალში დანაშაულის მცდელობის დეფინიცია დროთა განმავლობაში განმავლობაში კრიტიკისა და კრიმინალ-პოლიტიკური მიზნების შესაბამისად იცვლებოდა და ფართოვდებოდა. დანაშაულის მცდელობის მოქმედი დეფინიცია შეიძლება ითქვას საბჭოთა პერიოდში გამოთქმული არაერთი კრიტიკის შედეგია.“[120]

„სისხლის სამართალში თანამონაწილეობის აქცესორობის თეორია, გამოიყენება თანამონაწილეთა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადასაჭრელად. ამ თეორიის ძირითადი მოთხოვნა არის ის რომ დანაშაულის განხორციელების დროს მინიმუმ ერთი ამსრულებელი მანც უნდა იყოს სახეზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, თანამონაწილეობას არ ექნება ადგილი. ანუ თუ ამსრულებელმა დანაშაული დაამთავრა, გამოდის რომ თანამონაწილეები ასევე აგებენ პასუხს დამთავრებული დანაშაულისთვის, მაგრამ თუ ამსრულებელი დანაშაულის მცდელობის სტადიაზე შეჩერდა, ასეთ შემთხვევაში თანამონაწილეები დანაშაულის მცდელობისათვის დაისჯებიან.“[121]

---

[119]იხ. გეგელია თ. სადისერტაციო ნაშრომი. დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები. თბილისი 2018 გვ74

[120] იხ. იქვე გვ.74

[121] ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ. 297

ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის შესახებ ორი დიამეტრიულად განსხვავებული შეხედულებაა გამოთქმული.[122]

„იურიდიულ ლიტერატურაში არაერთგვაროვანი მოსაზრებებია გამოთქმული მცდელობის ცნების საკვანძო, განმსაზღვრელ ელემენტებთან დაკავშირებით, კერძოდ იმის თაობაზე თუ რა მოიაზრება ამ სიტყვებში ,,უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად''. მეცნიერთა ნაწილი მასში ხედავს მცდელობის სუბიექტურ მხარეს, ნაწილი კი ობიექტურ შემადგენლობას. საინტერესოა და გასაზიარებელია თინათინ წერეთლის პოზიცია, რომელიც სიტყვებში - ,,უშუალოდ'' და ,,მიმართული'', ხედავდა მცდელობის ობიექტურ შემადგენლობას სუბიექტური ტენდენციით და არა მისგან მოწყვეტით.“[123]

„ფართო გაგებით თანამონაწილეობა გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როცა ორი ან მეტი ამსრულებელი ერთობლივად ახორციელებს ქმედების შემადგენლობას. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა თანაამსრულებელმა დანაშაულის შემადგენლობის ერთი ნიშანი მაინც უნდა განახორციელოს, რომ იგი თანაამსრულებლად ჩაითვალოს ?“[124]

ამ საკითხს ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში განვითარებული სხვადასხვა თეორიები სხვადასხვაგვარად აფასებს. თანამონაწილეობის შესახებ ცოდნა, აუცილებელია თანამონაწილეთა ქმედების მცდელობად შეფასებისთვის. აქ იგულისხმება ის, რომ თანმონაწილეობით ჩადენილი მცდელობის დროს, თუ საკითხი ,,ფორმალურ ობიექტური“ თეორიის მიხედვით გადაწყდება, მაშინ დანაშაულში

---

[122]იხ. მჭედლიშვილი ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011 გვ.127

[123]იხ.გეგელია თ. სადისერტაციო ნაშრომი. დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები. თბილისი 2018 გვ75

[124] ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ. 298

მონაწილე პირები პასუხს აგებენ არა ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის მცდელობისთვის არამედ, თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის მცდელობისთვის.[125]

„მეცნიერთა ერთი ჯგუფი მცდელობის არსს შესაძლებლობის და საფრთხის კატეგორიებით განსაზღვრავს. მათთვის ქმედების მცდელობად შეფასებისათვის განსაზღვრულია ის, ქმედება თავისი გამოხატულებით რამდენად ქმნის კონკრეტულ შესაძლებლობას შედეგის რეალიზებისთვს და, შესაბამისად, რამდენად ქმნიან კონკრეტულ და უშუალო საფრთხეს დაცული სიკეთისთვის. ჩადენილი ქმედების დანაშაულის მცდელობის კვალიფიკაციისას მათთვის ამოსავალია ქმედების შემადგენლობის ობიექტური დაწყება ან დაწყებასთან ძალზე ახლოს მდგომი ქმედებები და არა სუბიექტის წარმოდგენა ქმედების შემადგენლობის დაწყებაზე. ხოლო კონკრეტული შესაძლებლობისა და უშუალო საფრთხის დასადგენად ისინი მხედველობაში იღებენ დროისა და სივრცის კრიტერიუმს.“[126]

შეჯამების სახით, უნდა ითქვას რომ დაუმთავრებელი დანაშაულის სახეებიდან დანაშაულის მცდელობას დიდი დრო აქვს დათმობილი იურიდიულ ლიტერატურაში. მისი პრობლემატურობის საკითხი განპირობებულია პრაქტიკაში სხვადასხვა სახით გამოხატვიდან. ზოგადად, უნდა აღინიშნოს რომ თვითონ მეცნიერებში გამოთქმული მოსაზრებები მოდის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში და რთულია განსაზღვრო ის კონკრეტული საფრთხეები, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის მცდელობის პრობლემატიკასთან.

დასკვნა

[125] იხ. იქვე ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი 2013 გვ. 298

[126]იხ. გეგელია თ. სადისერტაციო ნაშრომი. დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები. თბილისი 2018 გვ.76

დაუმთავრებელი დანაშაულის სახეებს მიეკუთვნება დანაშაულის მომზადება და მცდელობა. ვინაიდან, მცდელობის დროს შედეგის დადგომის აუცილებლობა არ არსებობს, ყველა შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების განხორციელება, რომელსაც დამნაშავისთვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის მცდელობად. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს დანაშაულის მცდელობის განსაზღვრებას, კერძოდ: „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

აღნიშნული ნაშრომის შესრულებისას გამოყენებული იურიდიული ლიტერატურის უმრავლესობა ითვალისწინებს დანაშაულის მცდელობის განსხვავებულ სახეებს, რომელთა უმრავლესობა განხილულია ზემოთ. მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების ჭეშმარიტება ეჭვს არ იწვევს, მაინც არსებობს მათ შორის არსებითი წინააღმდეგობები. მიმაჩნია, რომ ქმედების დანაშაულის მცდელობად დაკვალიფიცირებისთვის, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები და იმ სახელმწიფოთა სამართლებრივი გამოცდილება, რომელთა სამართლებრივ კულტურასაც ემყარება ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებები.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოიკვეთა სერიოზული პრობლემები, რომლებიც გამოარჩევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულების სამართლებრივ ბუნებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო აქტიურად არის ჩართული ქვეყანაში არსებული კრიმინოგენური მდგომარეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხშირად სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან განხორციელებული ქმედებები არ შეესაბამება ნორმის ფარგლებში გათვალისწინებულ შემადგენლობას. სწორედ ამიტომ, აუცილებელია, სახელწიფოს

მხრიდან განხორციელდეს რეგულარული და სიღრმისეული კონტროლი, რათა სწორად შეფასდეს ჩადენილი ქმედების საშიშროების ხარისხი და სასამართლოს არ გაუჭირდეს სწორი და კვალიფიციური გადაწყვეტილების მიღება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საყურადღებოა, ქმედების შეფასების დროს გასათვალისწინებელი ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც ახასიათებს დანაშაულის მცდელობას, როგორც დაუმთავრებელი დანაშაულის სახეს. გარდა ამისა, აუცილებელია განისაზღვროს ის სოციალური და სამართლებრივი საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების სისტემურ და კვალიფიციურ გადამზადებას, რათა მოხდეს განხორციელებულ ქმედებასა და მიცემულ შეფასებას შორის არსებითი განსხვავებების აღმოფხვრა.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართულენოვანი ლიტერატურა

1. გამყრელიძე ო. სისხლის სამართლის პრობლემები III ტომი, თბილისი 2013.
2. გეგელია თ. სადისერტაციო ნაშრომი. დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები. თბილისი 2018. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/286412/1/Disertacia.pdf. ბოლო შესვლის დრო 06.19 2019 სთ 13:00
3. დვალიძე ი. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი. 2007. https://www.scribd.com/document/239905716/ სისხლის-სამართლის-ზოგადი-ნაწილი-სახელმძღვანელო. ბოლო შესვლის დრო 06.19 2019 სთ 12:36
4. ვესელსი ი. ბოილკე ვ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბილისი 2010.
5. მჭედლიშვილი ქ. ჰედრიხი. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011
6. ტურავა მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 9-ე გამოცემა, გამომცემლობა მერიდიანი თბილისი. 2013
7. ცქიტიშვილი თ. სადისერტაციო ნაშრომი ,,ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები". თბილისი 2014 http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/temur_cqitishvili.pdf . ბოლო შესვლის დრო 06.19 2019 სთ 13:06
8. წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბილისი 1961
9. ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''.

თბილისი2013.

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/levan_xaranauli..pdf?fbclid=IwAR28ZYnY_Fbpa2uUJ3rgur9S0fEbdKgex2sIHyIZuG1r2hensIyq6y9esrY ბოლო შესვლის დრო, 06.19 2019 სთ 12:55

უცხოენოვანი ლიტერატურა

1. Alabama Criminal Code – 2017

http://inform.alabama.gov/_ALI/PDF/Book/complete_projects/Criminal%20Code%202017.pdf შესვლის ბოლო დრო 06.19 2019 სთ 13:22

2. Model Penal Code- აშშ-ს მოდელური სისხლის სამართლის კანონი. ამერიკა 1962 http://www.icla.up.ac.za/images/un/use-of-force/western-europe-others/UnitedStatesofAmerica/Model%20Penal%20Code%20United%20States%20of%20America%201962.pdf შესვლილ ბოლო დრო 06.19 2019 სთ 13:16

ქართული საკანონმდებლო ბაზა

1. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი- კონსოლიდირებული ვერსია, 1999 წელი.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=208 შესვლის ბოლო დრო 06.19 2019 სთ 13:32

დისერტაციები

1. გეგელია თ. სადისერტაციო ნაშრომი. დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები. თბილისი

2018. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/286412/1/Disertacia.pdf. ბოლო შესვლის დრო 06.19 2019 სთ 13:00

2. ცქიტიშვილი თ. სადისერტაციო ნაშრომი ,,ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები". თბილისი 2014 http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/temur_cqitishvili.pdf . ბოლო შესვლის დრო 06.19 2019 სთ 13:06
3. ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი ,,დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით''. თბილისი2013. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/levan_xaranauli..pdf?fbclid=IwAR28ZYnY_Fbpa2uUJ3rgur9S0fEbdKgex2sIHyIZuG1r2hensIyq6y9esrY ბოლო შესვლის დრო, 06.19 2019 სთ 12:55